ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი ტექსტი დაიწერა 2005 წელს; გამოქვეყნება შეფერხდა რიგი მიზეზების გამო. ვფიქრობ, რამდენადაც დღეს გაჩნდა რეალური ინტერესი და 2009 წლის 20 ოქტომბერს იქმნება საპარლამენტო კომისია საქართველოში 1992-93 წლებში განხორციელებული პუტჩის სამართლებრივი შეფასებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ, წარმოდგენილი მასალა ხელს შეუწყობს სიმართლის აღიარებას.

ამ ტექსტის გამოქვეყნება გადამაწყვეტინა ტალიავინის დასკვნაში არსებულმა ერთმა მეტად არაობიექტურმა დასკვნამაც:

ტალიავნის კომისიის აზრით, 1990-91 წლებში საქართველოში იყო შოვინიზმი და შიდა ქაოსი... ამ კომისიამ რატომღაც ვერ გამოიკვლია, რომ 1990-91 წლებში საქართველო იბრძოდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, ხოლო გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო რუსეთის იმპერიამ დასავლეთის წაყრუების ფონზე.

1990-93 წლებში არ იყო სამოქალაქო ომი, ხოლო შოვინიზმის ნასახიც კი არ ყოფილა; ამ პერიოდში დაამხეს დემოკრატიული და თავისუფალი საქართველოს იდეა. "ძლიერთა ამა სოფლისა" საქართველოს კანონიერი ხელისუფლებაც გაწირეს და საქართველოც.

20.10.09

ტარიელ ფუტკარაძე

ტარიელ ფუტკარაძე

არსებითი კითხვები საქართველოსთვის

2005

დარწმუნებული
ვარ,
დღეს თუ არა ხვალ
ამ კითხვებს პასუხს გასაცემს
კანონიერ საფუძველზე აღორძინებული
ქართველური, დემოკრატიული სახელმწიფოს
მართლმსაჯულება და ხელისუფლება;

საქართველოს სახელმწიფოს დუღაბად იქცევა
1991-93 წლების
კრიმინალურ-იმპერიული პუტჩისა და
პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას
თავგანწირული ბრძოლის ობიექტური ანალიზი

ჩვენ ისე უნდა დავამარცხოთ ისინი, რომ
მათაც ჩვენთან ერთად გაიმარჯვონ!

ზვიად გამსახურდია

ლოგიკური კითხვები
პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებებისა და
პუტჩის ფაქტის
გამოძიების გარშემო

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების შესახებ დღემდე გამოუძიებელ, იდუმალებით მოცულ ამ ტრაგიკულ საქმეში კიდევ უფრო ბევრი საეჭვო დეტალი წარმოაჩინეს ბოლოდროინდელმა პუბლიკაციებმა, კერძოდ:

► ზვიად გამსახურდია შხამით მოკლეს თუ შხამით მიიყვანეს თვითმკვლელობამდე? თუ თვითმკვლელობა იყო, სად გაქრა ტყვია, რომელიც, დაცვის წევრების დაბეჯითებითი მტკიცებით, პრეზიდენტის მოკვლის შემდეგ საწოლის თავს შეეჯახა, საწოლის თავს კვალი დაამჩნია და არ გასულა მეორე მხარეს? ჩვეულებრივი ხის საწოლის დაფას არ შეეძლო აერეკლა ან ჩაეყლაპა ტყვია (პროკურატურამ ბალიშიც კი გაატარა რენტგენზე, ტყვია რომ ეპოვა). შეუძლებელია, ხის სახლში ტყვია უკვალოდ გამქრალიყო!

► "თუ ჩაითვლება, რომ ზვიად გამსახურდიას მარჯვენა საფერთქელზე ნამდვილად ტყვიით მიყენებული (შემავალი) ჭრილობა იყო, მაშინ შეუძლებელია, ობიექტურად დამტკიცდეს: იყო ამ ტყვიით მიყენებული ჭრილობა სიკვდილის მიზეზი თუ **ტყვია უკვე მკვდარს მოხვდა?**" (ამ კითხვას სვამს ბ-ნი ბ.გუგუშვილი; გაზეთი "ასავალ-დასავალი", 28.11.05-05.12.05)

► თვითმკვლელობის ინსცენირება მოხდა, თუ თვითმკვლელობა? ეჭვის საბაბს **ბევრი შეუსაბამობა** იწვევს: ყველა თვითმხილველი ადასტურებს, რომ პრეზიდენტს სიკვდილის შემდეგ ხელში ეჭირა "სტეჩკინი"; ჯიხაშკარსა და სენაკში სპეციალისტთა მიერ (ო.ოქრუაშვილი, ა.ჩაჩუა, ვ.ბოჭორიშვილი, თ.დეკანოსიძე და რ. კაპანაძე) გვამის დათვალიერების დროს დაფიქსირდა, რომ "მარჯვენა საფეთქლის მიდამოში გვამს აღენიშნებოდა მრგვალი ფორმის დაახლოებით 0,6-0,7 სმ დიამეტრის მოშავო ფერის უბანი... ასეთივე ხასიათის ოვალური ფორმის მოშავო ფერის უბანი ზომით 1,5-1,0 სმ აღენიშნება მარცხენა ყვიმრალის უკანა ნაწილში, საფერთქლის თმოვან ნაწილთან ახლოს..."; შდრ., ფრაგმენტი რობიზონ მარგველანის ჩვენებიდან: "პრეზიდენტს ტყვია მოხვედრილი ჰქონდა მარჯვენა საფერთქელთან და გამოსული იყო **მარცხენა ყურის ძირის ზედა ნაწილში**"... სპეციალისტთა დასკვნით, "სტეჩკინის" ტყვიას შეუდარებლად დიდი კვალი უნდა დაეტოვებინა მარცხენა მხარეს. გარდა ამისა, ახლოდან ნასროლი ამ ძლიერი იარაღის ტყვიას ადამიანის ძვლოვანი სისტემა ვერ უწევს წინააღმდეგობას **(გუგუშვილი კი ვარაუდობს, რომ ტყვია თავის ქალაში დარჩა; შდრ., როგორც ჭრილებების პირველი დამთვალიერებელი ბ-ნი რ.მარგველანი ამბობს, ტყვია გამოსული იყო მარცხენა ყურთან; ე.ი. სისხლიც უნდა ყოფილიყო ბ.გუგუშვილის საწოლზე...);** რაც უფრო არსებითია: არცერთ თვითმკვლელს ხელში იარაღი არ უჩერდება; მით უმეტეს, შეუძლებელია, თვითმკვლელმა თვითმკვლელობის შემდეგ სტეჩკინისნაირი **მძიმე იარაღიანი ხელი** მშვიდად დაიდოს "მუცლის არეში" (ასე აღიწერება გარდაცვლილი პრეზიდენტი ყველა თვითმხილველის მიერ); საყურადღებოა ისიც, რომ ბ.გვანცელაძის ჩვენების მიხედვით, ეს "სტეჩკინი" გვარდიელებს წაურთმევიათ გია გულუასთვის მანამდე, სანამ ბადრი ზარანდია მას ციხიდან გააპარებდა)...

► ბ-ნი ბ.გუგუშვილისვე დასკვნით, პრეზიდენტმა თავი იმიტომ მოიკლა, რომ გვერდით მყოფი თანამებრძოლები (ბ-ნი გუგუშვილი და დაცვის წევრები) გადაერჩინა; თუ ეს მართლაც ასეა, რატომ არ დატოვა მან სათანადო წერილი? იქნებ ასეთი წერილი არსებობს?

► გენერალურ პროკურატურაში წარმოებული გამოძიების მასალებიდან ჩანს, რომ ბოლო დღეებში პრეზიდენტის სადგომიდან გამოსულ პიროვნებებს მალევე იჭერდნენ, თუმცა პრეზიდენტის სამყოფელს შტურმით არ იღებდნენ. აშკარაა: შევარდნაძის კონდოტიერები ზუსტად აკონტროლებდნენ, მეტიც, **გეგმავდნენ** დევნილი პრეზიდენტის მარშრუტს; კერძოდ, ბოლო დღეების თავშესაფარს არჩევდნენ ბადრი ზარანდია, ვახო ზარანდია და გუჯუგი ებრალიძე. ბადრი ზარანდიას პიროვნების შესახებ ობიექტური ინფორმაციებია მოცემული დაცვის წევრების ჩვენებებში, კერძოდ: ბ.ზარანდია შევარდნაძის დასაყრდენ გია გულუას პერიოდულად ხვდებოდა (ამ დროს გ.გულუას მოსკოვიდან ჩამოყვანილი ჰყავს საგანგებო სპეცრაზმი), მის ბანაკშივე ვერაგულად დახოცეს ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრები: **ირაკლი გოგაძე** და **ვაჟა ჭინჭარაული**. ეს ბადრი ზარანდია, ბოლოს, ორგანიზაციულადაც შეუერთდა ჯაბა იოსელიანის "მხრედრიონს"... საგამოძიები ჯგუფის წევრის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ჯონი ზარანდიას მტკიცებით, გუჯუჯი ებრალიძე 80-იან წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ "დავერბოვკებული" აგენტი იყო ("დაავერბოვკა" გურამ ცქვიტავამ); ცნობისთვის, ჯ.ზარანდიას მტკიცებით ამავე გუჯუჯი ებრალიძემ ინალი მესხიას, ამ უკანასკნელმა კი ნაპოლეონ ქარქაშაძის პირით გააგებინა შევარდნაძეს ვალტერ შურღაიას მიერ 1992 წლის 24 ივნისს ტელევიზიის აღებისა და ამბოხების გეგმა, რის შემდეგაც

ყველასათვის უცნობი, ზუგდიდის პოლიციის უფროსის მოადგილე უბნის ინსპექტორების ნაწილში ინალი მესხი შევარდნაძემ რ.გვენცაძეს მაშინვე დაანიშნინა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო ნაწილის უფროსად... ვახო ზარანდიას შესახებ კი **უპატიოსნესი კაცი** ჯონსონ კვარაცხელია ჟურნალისტ ბელა შალვაშვილთან საუბრისას საყურადღებო დეტალებს ამბობს:

_ ბატონო ჯონსონ, როდის მოიყვანეს თქვენთან ბატონი ზვიად გამსახურდია?

_ 22 დეკემბრის საღამოს.

_ წინასწარ გაგაფრთხილეს, რომ ასეთი სტუმრები მოჰყავდათ თქვენთან?

_ გაფრთხილება რად მინდოდა, მაგრამ მითხრეს მაინც.

_ ვინ გაგაფრთხილათ?

_ გუჯუჯი ებრალიძემ. გუჯუჯიმ ბატალიონი შექმნა "ჯიხას" სახელწოდებით...

_ კერძოდ, ვინ მოიყვანა თქვენთან ზვიადი და მისი დაცვა?

_ ვახო ზარანდიამ. ეგ ვახო ვითომ ზვიადის მომხრე იყო და მერე მაგათ მილიციაში აღმოჩნდა სამსახურად.

_ რითი მოვიდნენ?

_ გუჯუჯი სოფლის გამგებელი იყო და სოფსაბჭოს "უაზით" მოვიდნენ. გუჯუგიც მათთან იყო და ვათა ზარანდიაც... გაზეთი "პრეზიდენტი", 18-31.10. 2004 წელი).

აქვე დავიმოწმებთ გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის წევრ **ბ-ნ მერაბ რაფავას დასკვნას** (04.05.04): **"გუჯუჯი ებრალიძემ გაიტაცა ალექსანდრე კავსაძე შევარდნაძის დავალებით**; გუჯუჯი ებრალიძე მოკლა ედუარდ შევარდნაძემ, როგორც მოწმე, მთავარი შემსრულებელი ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა..."

ძიების მასალებიდან, ასევე, აშკარად ჩანს, რომ შევარდნაძის ხუნტის მსახურები ზვიად გამსახურდიას სახელით, პროვოცირებისა და **პრეზიდენტისთვის სახელის გატეხის მიზნით ძარცვავდნენ მატარებლებს** და

იტაცებდნენ (და მალევე ათავისუფლერბდნენ!) ე.წ. ჩინოვნიკებს; ამასვე ამტკიცებს, ზუგდიდის მაშინდელი პოლიციის უფროსის, მერაბ რაფავას ჩვენებაც; კერძოდ, ის ადასტურებს, რომ იმ ძარცვებისა და გატაცებების შესახებ არაფერი იცოდა გამსახურდიამ, მეტიც, პრეზიდენტი აღშფოთებული იყო; ერთი ფრაგმენტი ბ-ნ მ.რაფავას ჩვენებიდან **(2004 წლის 3 მაისის დაკითხვის ოქმი; დაკითხა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის წევრმა, საქართველოს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელმა პოლიციის პოლკოვნიკმა რ. კვარაცხელიამ)**:

კითხვა: რა შეგიძლიათ აჩვენოთ ქ. ზუგდიდში გრიგოლ ქობალიას (სარედაქციო შენიშვნა: გ.ქობალია დეპუტატი ნაციონალური მოძრაობიდან ახლახან გარდაიცვალა) სახლში 1992 წლის 11 აგვისტოს გამართული მოლაპარაკების დროს მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით და მოლაპარაკებაში მონაწილე პირების დატყვევებაზე?

პასუხი: 1992 წლის 11 აგვისტოს, დილით, ვალტერ შურღაიას სახლში: ზაურ ქობალიას, თვითონ ვალტერ შურღაიასა და იქ მყოფი რამოდენიმე პოლიტიკური მოღვაწისგან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ იმ დღეს თბილისიდან ჩამოსული შევარდნაძის წარმომადგენლებთან უნდა გამართულიყო შეხვედრა მთელ რიგ საკითხებზე... ამ შეხვედრაზე ერთ-ერთ საკითხად ასევე უნდა განხილულიყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და დე-ფაქტო ხელისუფლების ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის საკითხი. ვალტერ შურღაიას სახლში გადაწყდა, რომ ამ შეხვედრას უნდა დავსწრებოდით: მე, ვალტერ შურღაია, ლოთი ქობალია, ჯემალ ქობალია, ხოლო ზაურ ქობალია და სხვები შეხვედრის მსვლელობისას შემოგვიერთდებოდნენ... შეხვედრაზე მოვიდნენ: რომან გვენცაძე, დავით სარალიძე, თენგიზ გაზდელიანი, შსს ერთ-ერთი სამსახურის წარმომადგენელი გვარად მწარიაშვილი, მურთაზ ჩიქობავა, ვალერიან (კუკური) როგავა და სხვები... დავით სალარიძემ თქვა, რომ იგი უფლებამოსილი იყო ელაპარაკა შევარდნაძის მხრიდან ამ საკითხზე. ამასობაში ეზოში შემოვარდა ჩემთვის ნაცნობი ზუგდიდელი 17 წლის ზვიად ლელაძე და გინებით ამოვარდა კიბეებზე. იგი იგინებოდა რომან გვენცაძის მისამართით, ეძახდა მოღალატეს... მე დავხვდი მას

კიბეებზე, ვკარი ხელი, ჩავაგდე კიბეებიდან და გავიყვანე გარეთ. მან დაიწყო ტირილი და გზადაგზა მეუბნებოდა "მერაბ ბიძია, ამათმა სუყველამ გაყიდეს სამშობლო და როგორ ჯდებით მათთან მოლაპარაკების მაგიდასთანო". მე დავამშვიდე იგი, აუხსენი, რომ ეს მოლაპარაკება გვჭირდებოდა ჩვენ და არ გეწყინოს, თუ რისთვის გვჭირდება, ვერ გეტყვი-მეთქი. გავიყვანე ჭიშკარს გარეთ, მივხურე ჭიშკარი და გავაფრთხილე იქ მდგარი ჩემი თანამშრომლები, რომ მიეხედათ მისთვის. მოვბრუნდი უკან, რათა გამეგრძელებინა მოლაპარაკება. ამოვედი თუ არა ვერანდაზე, ატყდა სროლა ერთდროულად რამოდენიმე ავტომატიდან. მსროლელებმა შემოგვთავაზეს, დავნებებულიყავით, რადგან გარშემორტყმული ვიყავით. სროლების გამო შეშინებული ყველა მოლაპარაკების მონაწილე თავის დასაცავად დამოუკიდებლად მოქმედებდა. **მე მომვარდა ჯემალ ქობალია და მითხრა, გაყიდულები ვართ, ეს ყველაფერი იმართება შევარდნაძის მხრიდან, თავს უნდა უშველოთ თორემ დაგვხვრიტავენო.** მან დააპირა ვერანდიდან გადახტომა მიმდებარე ბაღში, მაგრამ სიმაღლის გამო ვერ გაბედა. მე იგი ჩავსვი მეორე სართულიდან, რის შემდეგაც დაიმალა მანდარინების პლანტაციაში. მე კი ჩვირბინე პირველ სართულზე, სადაც გრიშა ქობალიას მეუღლემ იქვე ჩემთვის უცნობი სამალავი მაჩვენა და მითხრა გრიშა იქ არის და სასწრაფოდ ჩადიო. მეც ჩავედი და იქ დამხვდა გრიშა ქობალია. სროლები გრძელდებოდა, მესმოდა, რომ გვეძებდნენ: მე, გრიშას და ჯემალ ქობალიას. დაახლოებით 15 წუთის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა და გრიშას მეუღლემ შეგვატყობინა, რომ თავდამსხმელები წასულები იყვნენ. მანვე გვითხრა, რომ მოლაპარაკების მონაწილეებიდან შურღაიას, გაზდელიანის და ზოგიერთების გარდა ყველა წაიყვანესო. **მე, მაშინათვე წავედი შს სამმართველოში და დავამყარე სატელეფონო კავშირი პრეზიდენტ გამსახურდასთან.** ამ დროს კაბინეტში შემოვიდა აფორიაქებული ჯემალ ქობალიაც. ჩვენს გარდა კაბინეტში იყვნენ დაახლოებით 10-15 ხელმძღვანელ მუშაკი. ზვიად გამსახურდიასთან საუბრისას მე მოვახსენე მომხდარის შესახებ და გამოვხატე ჩემი გულისწყრომა მოლაპაკებაზე მოსული ხალხის გატაცების თაობაზე, რადგან თავდამსხმელები მოქმედებდნენ მისი სახელით, ასევე მისი სახელით ვიყავით მისულები ჩვენც. **ზვიად გამსახურდიამ გამოხატა შეშფოთება**

და თქვა, რომ ეს ინსპირირებულია შევარდნაძის მიერ, სასწრაფოდ მიიღე ზომები, გაანთავისუფლე დაკავებულები, იმოქმედე მკაცრად და ჩემი სახელითო. მე მას ვთხოვე, იგი დალაპარაკებოდა ჩემს გვერდით მდგომ ჯემალ ქობალიას და გადავეცი ამ უკანასკნელს ყურმილი. პრეზიდენტმა მასაც იგივე უთხრა. ამის შემდეგ მე შეუდექი გატაცებული პირების დაძებნას და დავადგინე, რომ ისინი ქობალიას სახლიდან პირდაპირ წაუყვანიათ აფხაზეთში და უკვე გადასული იყვნენ ენგურის ხიდზე. ...მოგვიანებით ზვიად ლელაძისგან შევიტყვე, რომ როდესაც იგი რამოდენიმე გვარდიელთან ერთად მოდიოდა სოხუმიდან ზუგდიდისაკენ, გალში შეხვდა კანონიერი ხელისუფლების შეიარღებული ფორმირების ერთ-ერთი გალელი ხელმძღვანელი, რომელმაც იგი და მისი თანამებრძოლები დაპატიჟა თავისთან სახლში და საღამოს უთხრა, რომ ხვალ გამსახურდიას ბრძანებით ზუგდიდში გამართულ მოლაპარაკებაზე მოსული პირები როგორც მოღალატეები უნდა დაეპატიმრებინათ. მას ეგონა, რომ იგი მოქმედებდა პრეზიდენტის ბრძანებით და ეშინოდა ამ აქციაში მონაწილეობის გამო არ დაესაჯა პრეზიდენტს. როგორც ჩემთვის ცნობილია, ლელაძე შეახვედრეს რომან გვენცაძესაც, მან მოინანია მისი საქციელი და ვფიქრობ, რომ ბატონმა რომანმა უფრო მეტი იცის ლელაძესაგან ვიდრე მე. ასევე **ბატონმა რომანმა მოგვიანებით მითხრა, რომ თურმე ჩვენ წინასწარ ვყოფილვართ შევარდნაძისგან გაყიდულები,** რადგან გაიხსენა ის ფაქტი, რომ მოლაპარაკების წინა დღეებში მას აფრთხილებდა და პირდაპირ ეუბნებოდა თენგიზ კიტოვანი, რომ იგი არ წასულიყო მოლაპარაკებაზე, ვინაიდან მან იცოდა, რომ შევარდნაძე და ჯაბა იოსელიანი უპირებდნენ დაპატიმრებას. ვფიქრობ, ამ დეტალსაც დაადასტურებს რომან გვენცაძე და შესაძლოა თენგიზ კიტოვანიც. ეს იყო შევარდნაძის მიერ გათამაშებული სცენარი, რათა მას ჰქონოდა საბაბი გატაცებული მინისტრების დასახსნელად და კანონიერი ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი როგორც მოქალაქეები, ასევე შეიარაღებული კანონიერი გვარდიის წევრების დასასჯელად..."

კითხვა: მოლაპარაკების მსვლელობისას ქობალიას სახლში თავდამსხმელებში ხომ ვერ შეიცანით ვინმე?

პასუხი: თვდამსხმელებს წინ მოუძღოდა გოჩა ბახია, ზვიად ლელაძე, რომლებიც გაჰყვიროდნენ, რომ ისინი ასრულებდნენ ზვიად

გამსახურდიას მითითებას მოღალატეთა დაპატიმრების და მათი პასუხისმგებლობის შესახებ, ხოლო დანარჩენების სახელები და გვარები არ მახსოვს, მაგრამ მათი ამოცნობა შემიძლია. როცა პრეზიდენტ გამსახურდიას მოვახსენე ტელეფონით და პირველად მასთან მიმართებაში აღშფოთებულმა მივმართე, რომ ეს რა ქნა და რატომ მიმიყვანა ჩემი ფეხით იმ ხაფანგში, რომელიც მას დაგებული ჰქონია და ამის შესახებ თქვა ბახიამ მეთქი, პრეზიდენტმა მიპასუხა, "მაგ გათახსირებულებმა იმოქმედეს ჩემს სახელს ამოფარებით, გოჩა ბახია და მისი მეგობრები მათდამი უნდობლობის გამო სამი თვის წინ დავითხოვე და გამოვყარე გროზნოდანო. ვფიქრობ, რომ გოჩა ბახია აუხსნის გამოძიებას, ვისგან მიიღო მან ეს დავალება...".

შენიშვნა: **ამჟამად გოჩა ბახია ბესარიონ გუგუშვილთან** ერთად იმყოფება ფინეთში.

...**სხვა ჩვენებიდანაც** აშკარად იკვეთება, რომ შევარდნაძესთან კორდინაციით, გია გულუამ, გუჯუჯი ებრალიძემ, ბადრი ზარანდიამ და სხვებმა რუსეთის იმპერიის მიერ დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია საგანგებოდ დაგებულ მახეში შეიტყუეს (ვფიქრობთ, ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი მეგზურების, ძმები ჩუხუებისა და დაცვის წევრების უნებურად: ბ-ნ ზაურ ჩუხუას ერთ-ერთი საგაზეთო ინტერვიუს მიხედვით, ღურწკაიების სახლი სწორედ გუჯუჯი ებრალიძის მიერ შეირჩა წინასწარ; ბ-ნი ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან წამოსვლის შემდეგ მალევე შევარდნაძის "სპეცრაზმელებმა" გუჯუჯი ებრალიძეც "აიყვანეს"; ზ.ჩუხუა იმ საღამოსვე მიბრუნდა უკან, ვინაიდან იფიქრა, რომ კვარაცხელიას სახლში პრეზიდენტის ყოფნა სახიფათო იყო; ამავე მიზეზით პრეზიდენტი სასწრაფოდ გადაიყვანეს ღურწკაიებთან)...

აქვე, ბევრ კითხვას აჩენს პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნების ორგანიზებისა და სამეგრელოს გზა-კვალის კარგად მცოდნის გარეშე დარჩენის დეტალები: იკვეთება, რომ ზვიად გამსახურდია დაარწმუნეს მისი დაბრუნების აუცილებლობაში (მეტიც, "ნამუსზე შეაგდეს": რომ საქართველოს სწორედ ახლა სჭირდება მისი დაბრუნება, რომ თუ ის არ დაბრუნდება, აფხაზეთი

დაიკარგება, რომ მის დაბრუნებას შეუძლია იხსნას ქვეყანა და თუ არ გადადგამს ამ ნაბიჯს... და ა.შ...); პარალელურად, ზუგდიდში 1993 წლის 2 სექტემბერს ტარდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, სადაც მთავრობის წევრთა და დეპუტატთა ერთი ჯგუფის აქტიურობით უზენაესმა საბჭომ მიიღო **დადგენილება ზვიად გამსახურდიას სამშობლოში დაბრუნების შესახებ** (მე, ტარიელ ფუტკარაძე, როგორც უზენაესი საბჭოს წევრი, არ ვესწრებოდით ამ სესიას და ამ შემთხვევაში ვეყრდნობით თვითმხილველ დეპუტატთა **შეჯერებულ ინფორმაციებს**). თავად ზვიად გამსახურდიაც ხედავდა, რომ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა იყო ერთადერთი გზა აფხაზეთის შენარჩუნებისა, მაგრამ მისი დაბრუნებაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული; ეს კარგად იცოდა პრეზიდენტის მეუღლემაც - ქ-ნმა მანანა არჩვაძე გამსახურდიამაც და ჯოხარ დუდაევმაც...

აღსანიშნავია კიდევ ერთი არსებითი გარემოება:

აფხაზეთის ჩამოცილების გარდა რუსეთი იმხანად გეგმავდა **სამეგრელოს ავტონომიის გამოცხადებასაც** (ბოლშევიკების, მოგვიანებით მიხეილ სუსლოვის მიერ დამუშავებული ეს იდეა კრემლში ახლაც აქტიურად განიხილება); სამეგრელოში ბალტინის ჯარების გადმოსხმის შემდეგ ზვიად გამსახურდიას ულტიმატუმის ფორმით შესთავაზეს აფხაზეთის ცნობა და სამეგრელოს ავტონომიის გამოცხადება. ქუჯის, ცოტნეს, დიდი დავითის, ჭყონდიდლების მემკვიდრე პრეზიდენტმა დაგმო ამ იდეის ავტორებიცა და შემომთავაზებლებიც. კრემლში, ალბათ, საბოლოოდ მაშინ გადაწყდა, მოეკლათ საქართველოს დაუმორჩილებელი პრეზიდენტი და მეოცე საუკუნის ორჯონიკიძეებს (შევარდნაძეების, გულუების, სიგუების, მარგიანების, დევდარიანების, იოსელიანების, ჭანტურიების, ბურჯანაძეების და სხვა რენეგატთა) მიმყოლმა ბალტინის ტანკებმა **სამაგალითოდ დასაჯეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის**

ხერხემალი, დევნილი კანონიერი ხელისუფლების საყრდენი მხარე - სამეგრელო!

ამ და სხვა ანალოგიური ხასიათის დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლება გენერალურ პროკურატურაში მოძიებული ბევრი უეჭველი ფაქტი, რომელიც მეტ-ნაკლებად ცნობილია, აგრეთვე, საზოგადოებისთვის, მით უმეტეს, მათთვის, ვინც ზვიად გამსახურდიას გარშემო ტრიალებდა 1993 წლის საქართველოსთვის საბედისწერო შემოდგომაზე; **ამიტომაცაა გასაკვირი:** პრეზიდენტის თანმხლები პირები კატეგორიულად არ უნდა გამორიცხავდნენ ზვიად გამსახურდიას მკვლელობას (მოწამლვით თუ ტყვიით), მათგან არცერთს ხომ თავისი თვალით არ უნახავს თვითმკვლელობის პროცესი?!

► ჯონსონ კვარაცხელიას დაბეჯითებითი მტკიცებით ზვიად გამსახურდიას ცხედარი მის ეზოში დასაფლავებული იყო 1 იანვრიდან 8 იანვრის საღამომდე (გაზეთი "პრეზიდენტი", N2, 18-32 ოქტომბერი, 2004 წელი); აქვე დაბეჭდილია ვალიკო ზარანდიას ინტერვიუ, რომლის დასასრულს ჟურნალისტი ბელა შალვაშვილი წერს: "კიდევ ერთხელ შევდივარ ზარანდიების სახელოსნოში, იქ დადგმული მემორიალური დაფა გვაუწყებს, რომ აქ, ერთი თვის განმავლობაში 1994 წლის 18 იანვრიდან 17 თებერვლამდე განისვენებდა ზვიად გამსახურდია"... აქვე დავძენთ, 1994 წლის 19 თებერვალს სისხლის სამართლის უფროსი ინსპექტორის დემურიას მიერ დაკითხული ცოლ-ქმარი ნათელა და ვალიკო ზარანდიები ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდიას დაცვამ 1994 წლის 12 იანვარს მათ სახლში მიასვენა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ცხედარი... აღნიშნული წინააღმდეგობა დაუზუსტებელი ინფორმაციების შედეგია თუ სინამდვილე?

► 2004 წელსვე **რატომ არ შეეცადა (დაინტერესდა) გენერელური პროკურატურა ამ და სხვა ფაქტების თუ შეუსაბამობების დაზუსტებას? მათზე დაყდრნობით ძიების**

გაგრძელებას? ამას მოითხოვდნენ საგამოძიებო ჯგუფის რიგითი წევრებიც და ამას ვითხოვდით კანონიერი ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო კომისიის წევრებიც.

ჩვენს პასუხად, მიუხედავად იმისა, რომ გენერალურ პროკურატურას ამდენი სამხილი, თუ პასუხგაუცემელი კითხვა ჰქონდა, მაინც შეაჩერა როგორც გამოძიება, ასევე, ზურაბ ადეიშვილის მიერ განახლებული ორმხრივი კომისიის მუშაობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ გენერალურმა პროკურატურამ მას შემდეგ დაამთავრა უფრო ძველ საქმეებზე (მაგ., აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნოდარ იმნაძის მკვლელობის საქმეზე) **ბრალის წაყენება და ოჯახის წევრთა დაზარალებულად ცნობა; რატომ მაინცდამაინც ზვიად გამსახურდიას "ფიზიკური ლიკვიდაციის" გამოძიება და მისი მეუღლის დაზარალებულად ცნობის პროცესი შეჩერდა?**

► ზვიად გამსახურდიას დაცვის ორი წევრის ბ-ნ გ.კეკენაძისა და ბ-ნ ზ.ბურჯანაძის 2003 წლის ინტერვიუები მათი წინააღმდეგობის მიუხედავად რატომ იბეჭდება ორი წლის შემდეგ (ასავალ-დასავალი, 2005, 28.11.05 - 05.12.05)? ოპერატიული საინტერნეტო ვერსიის არმქონე გაზეთის მომდევნო ნომერშივე როგორ ესწრება ვრცელი, დოკუმენტებდართული ნარკვევის გამოგზავნა ფინეთიდან? ეს წერილი ასე ოპერატიულად ნამდვილად გუგუშვილმა გამოუგზავნა რედაქციას?

► ვის და რატომ აძლევს ხელს საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლების იგნორირების ფონზე საქართველოს კანონიერ უმაღლეს ხელისუფლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს **ყოფილი თავმჯდომარის აკაკი ასათიანის** გამოცხადება (იხ. ასავალ-დასავალი, 12-18. 10. 05)? აღვნიშნავთ, რომ ბევრი სხვა დეპუტატისგან განსხვავებით, ბ-ნ აკაკი ასათიანს პრეტენზია არა აქვს კანონიერი ხელისუფლების

წარმომადგენლობაზე, ვინაიდან მან **თავისი ნებით უარი თქვა** დევნილი კანონიერი ხელისუფლების წევრობაზე მაშინ, როცა მონაწილეობა მიიღო პუტჩისტების მიერ დანიშნულ უკანონო არჩევნებში და შევარდნაძის პარლამენტში ოპოზიციონერის როლი იკისრა; გარდა ამისა, კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმური წარმომადგენელი ვერ იქნება ვერცერთი ის პირი, რომელიც, **როგორც ყოფილი დეპუტატი,** იღებს სადეპუტატო პენსიას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბ-ნ ა.ასათიანს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას სიცოცხლეში, რის გამოც მას მონაწილეობა აღარ მიუღია დევნილობაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუშაობაში.

* * *

იმპერიისა და უკანონო ხელისუფლების მიერ შექმნილი ფესვდომასმედიის დეზინფორმაციების შედეგად ჩვენს საზოგადოებაში, მით უმეტეს, ახალი თაობაში, ძირითადად ორი აზრი ფიგურირებს:

ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თვლის, რომ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი, კავკასიის გმირი ზვიად გამსახურდია საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის წარმომადგენლის - ე.შევარდნაძის კრიმინალებმა მოკლეს... მცირე ნაწილს კი სჯერა შევარდნაძის უკანონო რეჟიმის ოფიციალური ვერსია, რომ, თითქოს, პრეზიდენტმა თავი მოიკლა; ამავე ვერსიის დადასტურებას ცდილობენ 1993 წლის 31 დეკემბერს ღურწკაიების სახლში მყოფი ცოცხლად დარჩენილი სტუმარ-მასპინძლებიც (რომელთაგან საკუთარი თვალით არცერთს არ უნახავს თვითმკვლელობის პროცესი)...

ვფიქრობთ, ნათელია, რომ აუცილებელია პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებების ობიექტურად დადგენა; შესაბამისად,

აუცილებელია გამოძიებისთვის საჭირო ობიექტური პოლიტიკური და სამართლებრივი ველის შექმნა, რათა ჩატარდეს გამოძიებისათვის საჭირო ყველა პროცედურა. უკრაინაში ქართველი ჟურნალისტის - ღონღაძის მკვლელობის საქმის დღეს ძიება კარგი მაგალითია; მით უმეტეს, საქართველოში საქმე პრეზიდენტის სიკვდილს ეხება. არსებობს მორალური მხარის სხვა წახნაგიც: ბევრი სამხილის არსებობის პირობებში გამოუძიებელი საქმე დაუმსახურებელ ჩრდილს აყენებს იმ პატიოსან და ღირსეულ პიროვნებებს, რომლებიც გვერდით ედგნენ და მასპინძლობდნენ იმპერიისგან დევნილ პრეზიდენტს (ბუნებრივია, საზოგადოებისთვის საეჭვო ხდება ყველა პირი, ვინც იმ პერიოდში ტრიალებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარშემო... შესაბამისად, საქმის გამოუძიებლობის გამო, ადგება ჩრდილი)...

* * *

ბოლო წლების პუბლიკაციებში ასევე სხვადასხვაგვარადაა შეფასებული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ოფიციალური წერილის საფუძველზე მ.სააკაშვილის N 147 ბრძანებით **შექმნილი ორმხრივი სახელმწიფო კომისიის მუშაობა** და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების პროცესი.

ბუნებრივია, მანამ, სანამ საზოგადოებისათვის ნათელი არ იქნება საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოწამეობრივი სიკვდილის გარემოებები, საზოგადოებაშიც და პოლიტიკურ წრეებშიც მუდამ იქნება ცხოველი ინტერესიც და მოთხოვნაც, ობიექტურად იქნას გამოძიებული დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს მშენებელი პრეზიდენტის განდევნის, მისი ხელისუფლების დამხობისა და ფიზიკური სიკვდილის რეალური მიზეზები. მით უმეტეს, ილია ჭავჭავაძის მსგავსად ზვიად გამსახურდიას სიკვდილიც დიდმა

პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა გამოიწვია, რომლის კარგად გააზრება დიდად წაადგება საქართველოს სამომავლო ბედის განსაზღვრას; ამიტომაც მე, როგორც**“1991-93 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი მოვლენების შემსწავლელი კომისიის”** წევრი დევნილი კანონიერი ხელისუფლების მხრიდან, საჭიროდ მივიჩნევთ ფართო საზოგადოებას საანალიზოდ მივაწოდოთ ჩვენს ხელთ არსებული ზოგი ფაქტი და ჩვენეული დასკვნა.

როგორ შეიქმნა ორმხრივი სახელმწიფო კომისია?

2004 წლის ე.წ. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, როდესაც უცხო ქვეყნების მიერ ხელისუფლებაში მოყვანილი ე.შევარდნაძე იმავე ქვეყნებისვე მოთხოვნით ხელისუფლებიდან ოფიციალურად გადადგა, საქართველოს დევნილმა კანონიერმა ხელისუფლებამ ოფიციალური წერილით მიმართა და დიალოგი შესთავაზა სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით გაპრეზიდენტებულ ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს; წერილს ხელს აწერენ ბ-ნი ვიქტორ ფხალაძე და ქ-ნი მანანა არჩვაძე- გამსახურდია (ამ წერილამდე დიალოგის ფორმატისა და

თემების დასადგენად ბ-ნ სააკაშვილთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა ამ სტრიქონების ავტორი)[1].

წინასწარვე შევნიშნავთ, რომ დევნილი ხელისუფლების წერილიდან ნათლად ჩანს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის პრაგმატული პატრიოტიზმი და კეთილი ნება ხანგრძლივ დევნილობაში ყოფნის მიუხედავად.

გთავაზობთ ამ ოფიციალური წერილის ზუსტ ასლს:

დევნილი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის
გარეშე დანიშნული 2004 წლის 4 იანვრის არჩევნებით
საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ
ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს

1992 წლიდან დღემდე საქართველოში დე ფაქტო ხელისუფლების არაკანონიერი და არასამართლებრივი გზებით ცვლის გამო გრძელდება სახელმწიფოებრიობის ნგრევა,

---

[1] აქვე აღვნიშნავ, რომ ამ კომისიის შექმნამდე **ანალოგიური მიზნით,** საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, გენერალური პროკურორის მოადგილის, უზენაესი საბჭოს წევრებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა შემადგენლობით **კიდევ ორი კომისია შეიქმნა,** რომელთაც იურიდიული დოკუმენტის შექმნა ვერ შეძლეს; კერძოდ: **ნუგზარ გაბრიჭიძის** 2003 წლის 29 დეკემბრის №50-მ ბრძანებით შეიქმნა **"ერთობლივი კომისია"** შემდეგი შემადგენლობით: გია ჯიქია, ვაჟა გელაშვილი, გია ბერძენაძე, მანანა არჩვაძე-გამსახურდია, ვიქტორ ფხალაძე, ბიმურზა აფრასიძე, ალექსანდრე ჟღენტი, ტარიელ ფუტკარაძე, გიორგი კერვალიშვილი. 2004 წლის 18 თებერვლის **ირაკლი ოქრუაშვილის** № 17-მ ბრძანებით კი შეიქმნა უფრო სიცოცხლისუნარიანი შემდეგი "ერთობლივი კომისია": კახა კობერიძე, ვარლამ გელაშვილი, ვაჟა ჯანყარაშვილი, ტარიელ ფუტკარაძე, მერაბ რაფავა, ჯონი ზარანდია. აღვნიშნავ იმასაც, რომ სამივე კომისია შეიქმნა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მეუღლის - მანანა-არჩვაძე გამსახურდიას, დევნილი უზენაესი საბჭოსა და პოლიტიკური სუბიექტის - "მრგვალი მაგიდის" მოთხოვნების საფუძველზე.

შესაბამისად, მრავალსაუკუნოვანი ქართველური კულტურულ-საზოგადოებრივი ფასეულობების დაკნინება, ხალხის უკიდურესი გაჭირვება, ტერიტორიების დაკარგვა...

საქართველოში რეალური სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დაწყება შესაძლებელია ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანოს არსებობის პირობებში: მხოლოდ უვადოდ ლეგიტიმური ხელისუფლება შესძლებს ე. შევარდნაძის არაკანონიერი რეჟიმის მიერ 1992-2003 წლებში საქართველოსთვის მიყენებული პოლიტიკური და ეკონომიკური ზარალის რეალურ შეფასებას და აღმოფხვრას.

ე. შევარდნაძის ხელისუფლებიდან ოფიციალურად წასვლის შემდეგ არსებობს რეალური შესაძლებლობა, წარმატებული დიალოგი შედგეს საქართველოს ახალარჩეულ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და დევნილ კანონიერ ხელისუფლებას შორის; საამისოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალ მაგიდას საჭიროდ მიაჩნია:

1. აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და ობიექტურად იქნას გამოძიებული 1991-1993 წლებში მომხდარი კრიმინალური პუტჩი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ 1992-1993 წლებში აღძრული სისხლის სამართლის საქმე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა და ამ მოვლენათა თანამდევი 1991-2003 წლებში მომხდარი სხვა ფაქტები; მხოლოდ ამის შემდეგ საქართველოში გადმოსვენებულ იქნას საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნეშტი;

2. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ოფიციალურად აღიარებულ იქნას დევნილი კანონიერი საბჭოს _ სამართალმემკვიდრეობის (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1991-2003 წლებში მიღებული დადგენილებები

და სხვ.) ლეგიტიმურობა; შესაბამისად, მათ საფუძველზე მოხდეს ე. შევარდნაძის საოკუპაციო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ანტისახელმწიფოებრივ-ანტიქართულ ხელშეკრულებათა გადასინჯვა. პარალელურად, სპეციალისტთაგან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც არსებული კონსტიტუციური მოდელების მიხედვით მოამზადებს ახალი კონსტიტუციის პროექტს და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს; ასევე, სარეფერენდუმოდ გაიტანს დროშის, გერბისა და ჰიმნის იმ ვარიანტებს, რომლებიც მომზადდება მეცნიერ-სპეციალისტების მიერ.

3. 2004 წლის 28 მარტს დანიშნული ე.წ. პარტიული სიების არჩევნები წარმოადგენს გაგრძელებას 2 ნოემბრის უკანონო არჩევნებისა, რომელიც საყოველთაოდაა აღიარებული არაკონსტიტუციურად და ფალსიფიცირებულად; შესაბამისად, შედეგებიც არალეგიტიმური იქნება; ამდენად, მომდევნო საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ და 2004 წლის 4 იანვარს არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა; საპარლამენტო არჩევნების დღედ განისაზღვროს 2004 წლის 26 მაისი.

4. პარიტეტული საარჩევნო კომისიის მიერ სამართალმემკვიდრე ლეგიტიმური, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს კონსენსუსის წესით შექმნილი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პირობებში;

5. საქართველოს ხელისუფლების ძირითად პრიორიტეტებად გამოცხადდეს:

5.1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან უცხო ქვეყნების ჯარების გაყვანა საქართველოს რესპუბლიკის

უზენაესი საბჭოს N 657 დადგენილებისა (1991 წლის 15 სექტემბერი) და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების თანახმად. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა და სამართალმემკვიდრეობის აღდგენის შემთხვევაში ავტომატურად თავისუფლდება დსთ-ს წევრობისაგან (1994 წლის 1 მარტი);

5.2. რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის პირობებში საქართველოს სახელმწიფო რელიგიად ჩვენი ქვეყნისათვის ისტორიული, მრავალსაუკუნოვანი აღმსარებლობის _ მართლმადიდებლობის _ გამოცხადება;

5.3. საქართველოს უნიტარულ სახელმწიფოში მხოლოდ ავტოქთონ არაქართველთათვის _ აფხაზთათვის _ კულტურულ-ადმინისტრაციული ავტონომიის შექმნა; საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის კონსტიტუციისა და სამართალმემკვიდრეობის საფუძველზე დაიწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივ სივრცეში მოქცევის მიმართულებით;

5.4. სახელმწიფო ეროვნული იდეოლოგიის აქტიური პროპაგანდა და ცხოვრებაში გატარება, ეროვნული ნიჰილიზმის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრება;

5.5. სამართლებრივ და ძალოვან სტრუქტურებში, აგრეთვე: ადამიანის უფლებათა დაცვის, ფისკალურ და ეკონომიკურ სფეროებში დასავლური პრინციპებისა და ღირებულებების უპირობო დამკვიდრება; კრიმინალური სიტუაციისა და ღირებულებების უპირობო დამკვიდრება; კრიმინალური სიტუაციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიებების გატარება;

5.6. სახელმწიფოსა და მოქალაქეთა მიერ კანონის უზენაესობისა და კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს არსებობის საფუძვლის აღიარება;

5.7. საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს გარეთ დარჩენილ ისტორიულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველთათვის მორალურ-კულტურული თანადგომის აღმოჩენა...

წარმოდგენილი სახელმწიფოებრივი პრობლემების მოსაწესრიგებლად და ლეგიტიმური არჩევნების პირობების მოსამზადებლად პარიტეტულ საწყისებზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თავმჯდომარეობით და მისი ბრძანებით შეიქმნას 7-კაციანი ოფიციალური სახელმწიფო კომისია, რომელშიც შევლენ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გენერალური პროკურორი და დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და მთავრობის წევრები; კომისიაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას კონსენსუსის წესით.

დევილი ხელისუფლების მხრიდან კომისიაში წარმოდგენილნი არიან:

1. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერი, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 2000 წელს პრემიერ-მინისტრად დანიშნული **მანანა არჩვაძე-გამსახურდია**;

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანთა უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე **ტარიელ ფუტკარაძე**;

3. ზვიად გამსახურდიას მთავრობის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **მერაბ რაფავა**;

4. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მანანა ტაბიძე**, ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენელი

წარმოდგენილ სახელმწიფო კომისიას უნდა დაექვემდებაროს სამი გჯუფი:

_ საგამოძიებო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობა დაკომპლექტდება კონსენსუსის წესით და რომელიც ობიექტურად გამოიძიებს 1991-1993 წლების პუტჩის გარემოებებს, პრეზიდენტ გამსახურდიას ბრალეულობას და მკვლელობას, პუტჩის თანამდევ სხვა მოვლენებს 2003 წლის 29 დეკემბრამდე. ამასთანავე, საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით მოხდეს შეფასება საქართველოში კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ორი უცხო სახელმწიფოს რუსეთისა და უკრაინის (1993 წ.) მონაწილეობისა, რასაც მოჰყვა დემოკრატიული სტრუქტურების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და გენოციდი.

_ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის აღდგენას დეკლარირებით მოამზადებს შევარდნაძის საოკუპაციო რეჟიმის მიერ დადებული ანტისახელმწიფოებრივი ხელშეკრულებისა და დადგენილებების დენონსირების პროექტებს, შექმნის ლეგიტიმური, საყოველთაო, დემოკრატიული არჩევნების პირობებს.

_ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მოამზადებს პრეზიდენტის დადგენილების პროექტს, პუტჩის შედეგად განდევნილი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას _ პატივისა და ღირსების აღდგენის, პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახის მორალური და მატერიალური კომპენსაციის, და დევნილი კანონიერი ხელისუფლების, მრგვალი მაგიდის წევრებისა და პუტჩით დაზარალებული და სხვა მოქალექეების მორალური და მატერიალური კომპენსაციის შესახებ.

უზენაესი საბჭოსა და მთავრობის მიერ წარმოდგენილი მიმართვის საფუძველზე შედგეს ორმხრივ ხელმოწერილი დოკუმენტი და გამოიცეს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც გახდება საბაზისო დოკუმენტი საქართველოში დევნილი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღსადგენად და ჩვენს ქვეყანაში ერთიანი სამართლებრივი და იურდიული სივრცის შესაქმნელად.

საქართველოს უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ვ. ფხალაძე
საქართველოს პრემიერ მინისტრი მ. არჩვაძე-გამსახურდია

2004.02.02

დევნილი კანონიერი ხელისუფლების წერილის პასუხად, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ შეიქმნა: "1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი ორმხრივი სახელმწიფო კომისია"; გთავაზობთ, პრეზიდენტის განკარგულებას:

საქართველოს პრეზიდენტის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N174 2004 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის N 60 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-7 პუნქტის "ქ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

შეიქმნას საქართველოში 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ივანე მერაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში _ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ადეიშვილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი

ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოს გენერალური პროკურორი

გიორგი ანდრიაძე საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი

მანანა არჩვაძე-გამსახურდია კომისიის წევრი

ტარიელ ფუტკარაძე კომისიის წევრი

მანანა ტაბიძე კომისიის წევრი

მერაბ რაფავა კომისიის წევრი

მიხეილ სააკაშვილი

პარალელურად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დავალებით, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა შექმნა ორმხრივი კომისია გენერალურ პროკურატურაში; გთავაზობთ მისი ბრძანების ტექსტსაც:

საქართველოს გენერალური პროკურორის
2004 წლის 18 თებერვლის N 17-მ
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს გენერალურ პროკურატურას წერილით მომართა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერმა, ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად, მოითხოვა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ და მისი გარდაცვალების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების გადასინჯვა.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლისა და მიღებული გადაწყვეტილებების კანონების შემოწმების უზრუნველყოფის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საქართველოს გენერალური პროკურატურისა და 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კახა კობერიძე _ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე /ხელმძღვანელი/;
ვარლამ გელაშვილი _ საქართველოს გენერალური პროკურა ტურის სამმართველოს უფროსი;
ვაჟა ჯანყარაშვილი _ საქართველოს გენერალური

პროკურატურის სპეციალური
სამსახურის უფროსი;

1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები:

_ ტარიელ ფუტკარაძე;
_ მერაბ რაფავა;
_ ჯონი ზარანდია.

2. ერთობლივმა კომისიამ შემჭიდროებულ ვადაში უზრუნველყოს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართ და მისი გარდაცვალების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლა;
3. ერთობლივმა კომისიამ წარმოადგინოს წინადადებები საგამოძიებო ჯგუფის შექმნის თაობაზე.
4. ერთობლივი კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მომხსენდეს პერიოდულად, ხოლო საბოლოო შედეგებზე ეცნობოს საქართველოს პრეზიდენტს.

გენერალური პროკურორი ი. ოქრუაშვილი

2004 წლის 18 თებერვალსვე მომზადდა ბ-ნ ი.ოქრუაშვილის დადგენილება ზვიად გამსახურდიას საქმის წარმოებით განახლების შესახებ; შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფიც; გთავაზობთ დადგენილების ასლს:

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის დადგენილების გაუქმების, საქმის წარმოების განახლების და

გამომძიებელთა ჯგუფისათვის წინასწარი გამოძიების დავალების შესახებ

ქ.თბილისი; 2004 წლის „18“ თებერვალი

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ი. ოქრუაშვილმა განვიხილე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსაზურდიას მიმართ აღძრული N7492801 სისხლის სამართლის საქმის მასალები და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია 1992 წლის 4 იანვარს, 1960 წლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 96[1] მუხლით, მე-100 მუხლის მე-2 ნაწილით, 157-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 254-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით აღძრული და წარმოებით შეწყვეტილი N 7492801 სისხლის სამართლის საქმე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევის, სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების, ისტორიისა და კულტურის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლების საყოველთაოდ საშიში საშუალებებით განზრახ განადგურების ფაქტებზე, რასაც განსაკუთრებით დიდი ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

სხვადასხვა დროს, მოცემულ საქმეს გაუერთიანდა ცალკეულ ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეები, ასევე ამავე საქმიდან გამოიყო ცალკე წარმოებად არაერთი სისხლის სამართლის საქმე.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის გარეშე N 7492801 საქმეზე წარმოება ნაადრევად, ამასთან დაუსაბუთებლად იქნა შეწყვეტილი, თანაც შესაბამისი სამართლებრივი შეფასების მიცემის გარეშე.

მივიღე რა მხედველობაში, რომ საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისა და შემაჯამებელი კანონშესაბამისი საპროცესო

გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დამატებით საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებები, საქმის წარმოებით შეწყვეტის დადგენილება უნდა გაუქმდეს და მასზე განახლდეს გამოძიება.

საქმის რეზონანსულობიდან, ეპიზოდთა სიმრავლიდან და გამოძიების სირთულეებთან დაკავშირებით, აგრეთვე მაქსიმალურად შესაძლო უმოკლეს ვადაში მასზე წინასწარი გამოძიების დამთავრებისათვის მიზანშეწონილია საქმის წინასწარი გამოძიება დაევალოს გამომძიებელთა ჯგუფს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლით და 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. როგორც ნაადრევად და დაუსაბუთებლად გამოტანილი, გაუქმდეს დადგენილება N 7492801 სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ;

2. საქმეზე განახლდეს სამართლწარმოება;

3. საქმის გამოძიება დაევალოს გამომძიებელთა ჯგუფს შემდეგი შემადგენლობით:

რ. ზარანდია _ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე;

გ. ჩხაიძე _ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;

რ. მხეიძე _ საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მოკვლევის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის და მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების პროკურორი;

ზ. მელქაძე _ საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს ორგანოებში მოკვლევის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი;

დ. ბაიაშვილი _ საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექციის პროკურორი;

ჯ. ზარანდია _ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;

რ. კვარაცხელია _ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;

ზ. სულავა _ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი.

4. სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში მიიღოს და საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელობა განახორციელოს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ, რ. ზარანდიამ;

5. საქართველოს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს ეთხოვოთ კანონით დადგენილი წესით საგამოძიებო ჯგუფის მუშაობის ოპერატიული უზრუნველყოფა;

6. გამომძიებელთა ჯგუფის მუშაობაზე კანონით განსაზღვრული საპროცესო ხელმძღვანელობა განახორციელოს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ კ. კობერიძემ.

7. საქმის წარმოებით განახლების შესახებ ეუწყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს.

საქართველოს გენერალური პროკურორი ი. ოქრუაშვილი

კომისიის შემადგენლობის გამოქვეყნებისთანავე, ზოგმა ეჭვი შეიტანა კომისიის ობიექტურობაში კომისიაში პრეზიდენტის მეუღლის - მთავარი დაზარალებულის - ქ-ნი მანანა არჩვაძის ყოფნის გამო, რის გამოც, კომისიის შემადგენლობიდან თავისი ნებით გავიდა ქ-ნი მანანა

არჩვაძე-გამსახურდია. ქ-ნი მანანა არჩვაძის პოზიცია გამოქვეყნდა პრესითაც; იხ., მაგ., 10/03/04:

საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლემ და პოლიტიკური ორგანიზაცია „„მრგვალი მაგიდის" ლიდერმა ***მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ხელისუფლების ინიციატივით შექმნილი საგამოძიებო კომისია ოფიციალურად 25 თებერვალს დატოვა****, თუმცა მედიის საშუალებებს ეს ინფორმაცია 10 მარტს ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე გააცნო. როგორც ცნობილია, 21 თებერვალს შეიქმნა კომისია, რომელსაც 1991-1992 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენებიs, მათ შორის კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი დამხობისა და* ***პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის საკითხების*** *[ექოს"რედ. შენიშვნა: იგულისხმება „****საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის****... შემსწავლელი კომისია] გამოძიება დაევალა. კომისიას, რომლის შემადგენლობაში ხელისუფლების სამი მაღალჩინოსანია, სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი თავმჯდომარეობს. როგორც* ***მანანა არჩვაძე-გამსახურდია აცხადებს, მან კომისია საკუთარი იურიდიული სტატუსიდან გამომდინარე დატოვა, ვინაიდან იგი კანონიერი ხელისუფლების სამართლებრივი მემკვიდრეა****. „„მრგვალი მაგიდის" ლიდერი ვანო მერაბიშვილს სთხოვს, სასწრაფოდ მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც ითქვას, რა გაკეთდა დღემდე საქმის გამოსაძიებლად. „კომისიას, რომელიც 21 თებერვლიდან ფუნქციონირებს, მუშაობის შესაძლებლობა არ ეძლევა. იგი დღემდე ერთხელაც არ შეკრებილა და არ განუხილავს 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების არც ერთი საკითხი", - განაცხადა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ, რომელსაც კომისიის მუშაობის ობიექტურობაში ეჭვი ჯერჯერობით არ ეპარება. კომისია საგამოძიებო პროცედურების დასრულებას 2004 წლის დეკემბრამდე ითვალისწინებს. შეგახსენებთ, რომ კომისიის წევრები არიან გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი და უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი.*

http://www.batuminews.com/ge/index.php?ID=4010).

როგორ იმუშავეს აღნიშნულმა კომისიებმა?

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით შექმნილი კომისია დღემდე არც ერთხელ არ შეკრებილა ჩვენი მრავალგზის თხოვნის მიუხედავად. გთავაზობთ ჩვენი თხოვნის დამადასტურებელ ერთ დოკუმენტს:

1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს ბატონ ივანე მერაბიშვილს

ბატონო ივანე, როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 21 თებერვლის N 174 განკარგულების თანახმად შექმნილია კომისია, რომელსაც ევალება 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შესწავლა.

კომისიის შექმნის დღიდან გავიდა ორი თვე, მაგრამ ჯერ ერთხელაც კი არ შეკრებილან კომისიის წევრები და არ უმსჯელიათ იმ საკითხებზე, რომლებსაც პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულება ითვალისწინებს.

ვფიქრობთ, ნათელია, რომ 1991-1993 წლებში ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის გამო განვითარებული სახელმწიფო დანაშაულობების დროული გამოძიება და ობიექტური სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოსათვის. შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია 21 თებერვალს შექმნილი სახელმწიფო კომისიის სხდომის დაუყოვნებლივ ჩატარება და კომისიის მუშაობის გეგმის შედგენა.

კომისიის ამოქმედებით გაქარწყლდება საზოგადოებრიობის ეჭვი, რომ პრეზიდენტის განკარგულების იგნორირებით გამოძიება ხელოვნურად და მიზანმიმართულად ბრკოლდება.

პატივისცემით,

1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის წევრები:
გიორგი ანდრიაძე საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი
მანანა ტაბიძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მერაბ რაფავა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ტარიელ ფუტკარაძე საქართველოს რესპულიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

22.IV.2004 წ.

ჩვენს ამ წერილს არავითარი ოფიციალური თუ არაოფიციალური პასუხი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, ამასობაში ოპერატიულად მუშაობდა გენერალურ პროკურატურაში შექმნილი კომისია და საგამოძიებო ჯგუფი. აშკარად გამოიკვეთა ახალი გარემოებებები, რომლებიც იძლეოდა მყარ საფუძველს, შეწყვეტილიყო სისხლის სამართლის საქმე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ და სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო: ზვიად გამსახურდიას საქმის გამყალბებელთა (ყოფილი გენერალური პროკურორის ვ.რაზმაძის, ა.ბალუაშვილის, ვ.შენგელიას და სხვათა), 1991-93 წლების პუტჩის ორგანიზატორთა და ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საორგანიზაციო ჯგუფის წინააღმდეგ. ორი თვის მუშაობის შემდეგ გენერალურ პროკურატურაში მომზადდა დასკვნა ზვიად გამსახურდიასადმი ბრალეულობის მოხსნის შესახებ; მოვიყვანთ ძირითად ფრაგმენტებს (დასკვნა სრულად გამოქვეყნდა 2004 წლის აგვისტოს "საქართველოს რესპუბლიკის" ნომრებში):

"ვამტკიცებ:
საქართველოს გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი
(ხელმოწერა)

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ

18 ივნისი, 2004 წელი, ქ.თბილისი

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა პროკურორმა, N 7492801 სისხლის სამართლის საქმეზე გამომძიებელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა რევაზ ზარანდიამ განვიხილე მოცემული სისხლის სამართლის საქმე და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

1992 წლის 4 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის, ვ.რაზმაძის მიერ აღიძრა N 7492801 სისხლის სამართლის საქმე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ, 1960 წლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 96[I] მუხლის, მე-100 მუხლის მე-3 ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 157-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 254-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარება დაევალა გამომძიებელთა ჯგუფს.

ტ. 1, ს.ფ. 1-2, 6-11.

საქმის აღძვრის საფუძვლად მითითებულ იქნა "საქბინსოცბანკის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის, **გ.ლაბარტყავას** წერილობითი შეტყობინება ქ.თბილისის ისნის რაიონის ბანკის განყოფილებიდან 2.167 ათასი მანეთის გატაცების შესახებ...

ძიებამ დაადგინა: გ.ლაბარტყავას წერილობითი შეტყობინება საქმეში არ დევს; თავად გ.ლაბარტყავა ყოველგვარ წერილობით შეტყობინებას და ზვიად გამსახურდიას მიერ თანხის დატაცებას კატეგორიულად უარყოფს (გენერალური პროკურატურის დასკვნა, 18.06.04, გვ. 49-50; ტ.103, ს.ფ. 343-345)

აქვე წარმოვადგენთ გამოძიების დასკვნას რამდენიმე სხვა ე.წ. "საბრალდებო თემის" შესახებ:

შევარდნაძის რეჟიმის ბრალდება: ზვიად გამსახურდიამ უკანონოდ გააუქმა ეროვნული გვარდია (ძიება ეყრდნობა მხოლოდ ა.ასათიანის ჩვენებას; იხ., საქართველოს გენერალური პროკურატურის 2004 წლის 18 ივნისის დასკვნა, გვ. 64).

ძიებით დადგინდა: "არ შეესაბამება სინამდვილეს ა.ასათიანის მტკიცება, თითქოს ეროვნული გვარდია _ შინაგანი ჯარის რეორგანიზაცია ყოფილიყოს უმაღლესი საბჭოს პრეროგატივა და "..პრეზიდენტს არ შეეძლო ამის გაკეთება...". როგორც იმ დროს მოქმედი კონსტიტუციის --- მუხლშია მითითებული პრეზიდენტი **უფლებამოსილი იყო** "... შეეტანა ცვლილებები ..." მოეხდინა ეროვნული გვარდია _ შინაგანი ჯარის რეორგანიზაცია... მოსკოვის პუტჩის დღეებში ამ რეორგანიზაციით მან განადგურებისგან იხსნა გვარდია" (ვრცლად იხ., საქართველოს გენერალური პროკურატურის 2004 წლის 18 ივნისის დასკვნა, გვ. 65-68);

შევარდნაძის რეჟიმის ბრალდება: ზვიად გამსახურდიამ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი; პროვოცირება მოუხდინა ქართულ-ოსურ კონფლიქტს... (ამ სიცრუეს პუტჩის დროს პროპაგანდას უწევდა ამჟანინდელი სახელმწიფო მინისტრი **გოგა ხაინდრავა**; ამავე აზრს ამჟამად აქტიურად ახმოვანებს კრემლის მარიონეტი, ე.წ. "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" ამჟამინდელი **მთავარი კრიმინალი ედუარდ კოკოითი**).

ძიებით დადგინდა: სსრ კავშირის შენარჩუნების მომხრე იმპერიული კრემლის მითითებით "1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო დეკლარაცია "**სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ; რითაც იგი**

ცხადდებოდა "საკავშირო ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად"... "1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში იმპერიული ძალები უკვე ღიად გადავიდნენ საქართველოსთან ღია კონფრონტაციაში და შეუდგნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის წმენდას ქართველებისგან".

1990 წლის 9 დეკემბერს ოლქში ჩატარდა ანტიკონსტიტუციური არჩევნები და გამოცხადდა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. საპასუხოდ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა უკანონო არჩევნებით არჩეული ე. წ. "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლების" მიღებული დადგენილებები...

გარდა ამისა, "...საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის ყაზბეგის შეხვედრაზე მიღებული ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, აგრეთვე, ამ მოლაპარაკების შემდეგ რუსეთის დუმის ეროვნებათშორისი კომიტეტის ოფიციალური განცხადებით დადასტურებული იქნა, რომ **ცხინვალში არსებული კონფლიქტი საქართველოს გარედან იყო ინსპირირებული და პრობლემის მოგვარება წარმოადგენდა საქართველოს საშინაო საქმეს**... ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 11 ოქტომბერს ოფიციალური წერილობითი განცხადებით მიმართა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ.ელცინს, სსრკ სახელმწიფო საბჭოსა და რსფსრ უზენაეს საბჭოს და რუსული მხარე დაადანაშაულა ქართველებსა და ოსებს შორის ეროვნული შუღლის ინსპირირებაში, საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარებისა და ოსი ექსტრემისტების მიერ ქართველების ტერორსა და ძალადობაში; გამოხატა მტკიცე პროტესტი საქართველოს წინააღმდეგ აშკარა საომარი მოქმედების წარმოებაში და მოითხოვა საქართველოს სუვერენიტეტისადმი პატივისცემა..".

"მიმოხილული და გაანალიზებული მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ შესაბამის მტკიცებულებათა გარეშე ზვიად გამსახურდიას უსაფუძვლოდ შეერაცხა

ქართველებსა და ოსებს შორის ეროვნული შეღლისა და მტრობის ჩამოგდება თანამდევი მძიმე შედეგებით, რის გამოც ხსენებულ ეპიზოდში მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს წარმოებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით _ არ არის რა ქმედება მართლსაწინააღმდეგო" (ვრცლად იხ., საქართველოს გენერალური პროკურატურის 2004 წლის 18 ივნისის დასკვნა, გვ. 46-48, 60-62; (ტ.113, ს.ფ.112-114, 115-117, 118-119, 120-122).

შევარდნაძის რეჟიმის ბრალდება: ზვიად გამსახურდიას დავალებით 1992-93 წლებში დასავლეთ საქართველოში ააფეთქეს ხიდები, ლიანდაგები...

ძიებით დადგინდა: არ არსებობს არავითარი დოკუმენტი, არც მოწმის ჩვენება, რომელიც ამგვარ ბრალს ადასტურებდეს; პირიქით, ყველა მოწმის (ლოთი ქობალია, მერაბ რაფავა, ზაურ ქობალია...) მტკიცებით, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია კატეგორიული წინააღმდეგი იყო ძალადობრივი აქციებისა (ვრცლად იხ., საქართველოს გენერალური პროკურატურის 2004 წლის 18 ივნისის დასკვნა, გვ. 87-88).

შევარდნაძის რეჟიმის ბრალდება: 1991 წლის გაზაფხულზე კრემლისადმი დაუმორჩილებლობის მიზნით რკინიგზის გადაკეტვით საქართველოს მიადგა 4000 მილიონი მანეთის ზარალი (შევარდნაძის ხუნტის პროკურატურა ეყრდნობა ა. ასათიანისა და თ.სიგუას ჩვენებებს; იხ., საქართველოს გენერალური პროკურატურის 2004 წლის 18 ივნისის დასკვნა, გვ. გვ. 63);

ძიებით დადგინდა: ამ აქციით საქართველოს ბიუჯეტს არავითარი ზიანი არ მიუღია, ვინაიდან 1991 წლის აპრილის მდგომარეობით საქართველო არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, შესაბამისად არც დამოუკიდებელი ბიუჯეტი გააჩნდა, ამიტომ მის ინტერესებს ზიანი ვერ მიადგებოდა... (საქართველოს გენერალური პროკურატურის 2004 წლის 18 ივნისის დასკვნა, გვ. 63-64).

შევარდნაძის რეჟიმის ბრალდება: პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ იზოლაციაში მოაქცია საქართველო...

ძიებით დადგინდა: "მიუხედავად მტრული გარემოცვისა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული მეთოდური შეტევებისა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობის თანახმად, 1991 წლის 13 ივნისიდან 1992 წლის 2 იანვრის ჩათვლით, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ცნო **28 ქვეყანამ,** კერძოდ: სომხეთმა, რუმინეთმა, აზერბაიჯანმა, თურქეთმა, უკრაინამ, ლიტვამ, მონღოლეთმა, ირანმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (25.12.91), ინდოეთმა, კუბამ, ტაილანდმა, ბრაზილიამ, ბელორუსიამ, სლოვენიამ, მოლდავეთმა, ჩინეთმა, ეგვიპტემ, იორდანიამ, ხორვატიამ, ალჟირმა, ლიბანმა, პაკისტანმა, ეთიოპიამ, ერაყმა... (საქართველოს გენერალური პროკურატურის 2004 წლის 18 ივნისის დასკვნა, გვ. 82).

...მიმოხილული და გაანალიზებული მტკიცებულებებით (საქართველოს გენერალური პროკურატურის 2004 წლის 18 ივნისის დასკვნა, გვ. 59-94), უტყუარადაა დადასტურებული, რომ შესაბამის მტკიცებულებათა გარეშე ზვიად გამსახურდიას **უსაფუძვლოდ შეერაცხა** სამშობლოს ღალატი და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა, რის გამოც, როგორც ზემოთ მითითებულ ყველა სხვა დანარჩენ ეპიზოდში, ისე ხსენებულ ეპიზოდშიც მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს წარმოებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით _ არ არის რა ქმედება მართლსაწინააღმდეგო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და „ბ" ქვეპუნქტებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. აწ განსვენებულ ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას, დაბადებულის 1939 წლის 31 მარტს, ქართველის, უმაღლესი განათლებით, ცოლ-შვილიანის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართ, _ შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან არ არსებობს რა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და არ არის რა ქმედება მართლსაწინააღმდეგო;

2. ზვიად გამსახურდიას მიმართ სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ეუწყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის
საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე
რ.ზარანდია"

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ საქმის შეწყვეტის ფაქტს ფართო გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოებაში. ამის შემდეგ **ჩვენ არაერთგზის მოვითხოვეთ ძიების გაგრძელება პუტჩის ფაქტისა და ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების გარშემო, პრესამ კი "რატომღაც" ყურადღება გადაიტანა ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების აუცილებლობაზე; არადა, ჩვენ ვითხოვდით: რამდენადაც ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია 1991-93 წლების პუტჩის შედეგი იყო, გამოძიება ამ მიმართულებით გაგრძელებულიყო, აღდგენილიყო პრეზიდენტის სახლი და გადმოსვენებაც ღირსეულად მომხდარიყო. მოვიყვანთ ფრაგმენტებს პრესის საინტერნეტო არქივიდან** (http://www.open.ge/04/24hours/084/084-3.htm; http://www.opentext.org.ge/04/resonance/094/094-33.htm)

(ინტერ-პრესი) გენპროკურორის გადაწყვეტილებით, ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ 1992 წელს აღძრული სს საქმე

მარეაბილიტერებელი საფუძვლით შეწყდა. გამსახურდიას სამშობლოს ღალატის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცებისა და სხვა მძიმე კატეგორიის ბრალდებები მოეხსნა. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გენპროკურორის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ განაცხადა. მისი თქმით, 1992 წელს ექსპრეზიედენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ სს საქმე მძიმე კატეგორიის ბრალდებებით, მათ შორის სამშობლოს ღალატისა და დიდი ოდენობით ქონების დატაცების მუხლებითაც აღიძრა, რაც 1994 წელს, პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალების გამო შეწყდა. წელს კი მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, შეიქმნა სპეციალური ოთხკაციანი კომისია, რომელსაც გამოძიებაზე ზედამხედველობა დაევალა. ამაში 12 გამომძიებელი მონაწილეობდა. **მტკიცებულებების არარსებობის გამო, საქმე ყველა ეპიზოდით შეწყდა**. **ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით**.

"რეზონანსი", N173, სამშაბათი, 29 ივნისი, 2004 წელი

[შენიშვნა: უფრო ადრინდელი ცნობებით (იხ. ზემოთ)- „**ამჟამინდელი გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით, 18 თებერვალს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებისა და მის მიმართ სამშობლოს ღალატის მუხლით აღძრული საქმეები გაერთიანდა და გამოძიება განახლდა**“. გაუხმაურებელი მიზეზების გამო ეს გაერთიანებული საქმე ისევ დაცალკევდა...]

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ინტერესი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პიროვნებისა თუ მისი ტრაგიკული აღსასრულის მიმართ მეტად გაიზარდა. ეს ისტორია დღემდე ბურუსით არის მოცული. 1993 წელს ოფიციოზით გავრცელებული ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა თავი მოიკლა, უამრავ ეჭვსა და კითხვას ტოვებს. გამსახურდიას დაცვის წევრთა (რომელნიც ტრაგედიის დროს ახლდნენ პრეზიდენტს) ნაამბობიც ერთმანეთს არ ემთხვევა.

დღეს გენერალური პროკურატურა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს იძიებს. გენპროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ, რომელიც ძიებას კურირებს, "დღესთან" საუბარში აღნიშნა, რომ ახალი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. "უბრალოდ, ახალ გარემოებათა გამო ზვიად გამსახურდიას საქმეზე ძიება განახლდა. გენერალური პროკურორის ბრძანებით შეიქმნა გამომძიებელთა ჯგუფი, რომელსაც საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე რევაზ ზარანდია ხელმძღვანელობს. საქმეში, ზვიად გამსახურდიას დაღუპვის მიზეზად დაფიქსირებულია თვითმკვლელობა, მაგრამ ძალიან

ბევრი საეჭვო გარემოებაა. რაც შეეხება საქმეში არსებულ ნივთმტკიცებებს, არ დავაკონკრეტებ. **გამოძიება მიიჩნევს, რომ აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. მისი გარდაცვალების ჭეშმარიტი მიზეზის დადგენა მხოლოდ ამ გზით მოხერხდება**"...

სისხლის სამართლის საქმე ზვიად გამსახურდიას დაღუპვასთან დაკავშირებით 1994 წელსვე აღიძრა. მანამდე, 1992 წელს, გენპროკურორმა რაზმაძემ მის წინააღმდეგ საქმე სამშობლოს ღალატის ბრალდებით აღძრა. ორივე მათგანი პრეზიდენტის "თვითმკვლელობის" გამო შეჩერდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეწერა გენპროკურატურის დასკვნაში. იმჟამინდელ გენპროკურორს ამ თემაზე საუბარი აღარ სურს. ვახტანგ რაზმაძემ "დღეს" განუცხადა, რომ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ეს საქმე აღარ ახსოვს. "თვითმკვლელობის" საქმის ძიებისას კი ის გენპროკურორი აღარ იყო. მაგრამ, ქართული საზოგადოების დიდ ნაწილი, ისევე, როგორც მისი მეუღლე, პირველი პრეზიდენტის თვითმკვლელობის ფაქტს სარწმუნოდ არ მიიჩნევს. "ზვიად გამსახურდიას ცხოვრება დასრულდა არა მისი ნებით, არამედ იმ ძალების მიერ, ვინც დაამხო კანონიერი ხელისუფლება", - ასეთია მანანა არჩვაძე- გამსახურდიას პოზიცია.

"დღის" ინფორმაციით, ზვიად გამსახურდიას ზუგდიდში ჩამოსვლის შემდეგ შევარდნაძის ხელისუფლება გამუდმებით ცდილობდა მის "გაუვნებლებას". ერთ-ერთი ვერსიით, ამ ტრაგედიის უკან შოთა კვირაიას აჩრდილი მოჩანს.. ფაქტს, რომ ზვიად გამსახურდიას გადაადგილების შესახებ შევარდნაძის ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო, თენგიზ სიგუაც ადასტურებს.

როგორც აღვნიშნეთ, გამსახურდიას საქმის ძიება ოქრუაშვილის გენპროკურორობისას განახლდა. **პირველი პრეზიდენტის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებისა და მისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, შესაძლოა, მის ტრაგიკულ აღსასრულს ნათელი მოეფინოს**.

დალი ბჟალავა. "ხვალინდელი დღე", N135(547), 17-19 ივლისი, 2004 წელი... არჩვაძე-გამსახურდიას პოზიცია:

პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია აცხადებდა, რომ ნეშტის გადმოსვენებას იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა, თუ პროკურატურა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს შეწყვეტდა და 1991-93 წლების მოვლენების გამოძიების პროცესს რეალურად დაიწყებდა.

დალი ბჟალავა. "ხვალინდელი დღე", N135(547), 17-19 ივლისი, 2004 წელი; **საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით (N-174**) შექმნილი **კომისიის წევრის ტარიელ ფუტკარაძის პოზიცია:**

9 აპრილი, 2004 წელი ...პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი ბრძანებით შექმნა ორმხრივი სახელმწიფო კომისია (ერთი მხრივ - ი. მერაბიშვილი, ი. ოქრუაშვილი, ზ. ადეიშვილი, მეორე მხრივ - მ. არჩვაძე-გამსახურდია, ტ. ფუტკარაძე, მ. რაფავა, მესამე მხრივ, საზოგადოებრიობის წარმომადგენელი - მ. ტაბიძე) [„ექოს“ რედ. შენიშვნა: იგულისხმება „**საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის**... შემსწავლელი კომისია“] და პარალელურად დაიწყო მუშაობა **გენერალური პროკურატურის საგანგებო საგამოძიებო ჯგუფმა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის**... ...**გარემოებების შესასწავლად**. ვფიქრობ, სააკაშვილის ხელისუფლება თავისი წინამორბედივით არ დაიწყებს ე. წ. გადაბირება-კომისიობანას ფარსის ახალ ეტაპს და პუტჩის გარემოებების გამოძიების საქმეს ბოლომდე მიიყვანს...

პარლამენტი პრეზიდენტის დაღუპვას არ შეისწავლის

(პრაიმ-ნიუსი) პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ ორშაბათს უარი უთხრა დეპუტატებს ზვიად ძიძიგურსა და კახა კუკავას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ. როგორც ბურჯანაძემ ორშაბათს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განაცხადა, პარლამენტის რეგლამენტი არ ითვალისწინებს ასეთი კომისიის შექმნას.

ძიძიგური და კუკავა ორი კვირის წინ გამოვიდნენ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შემსწავლელი კომისიის შექმნის წინადადებებით. ძიძიგური მიიჩნევს, რომ გამსახურდია მოკლეს.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი 1993 წლის დეკემბერში დაიღუპა დასავლეთ საქართველოში და ის ამჟამად გროზნოშია დაკრძალული. ოფიციალური ვერსიით გამსახურდიამ თავი მოიკლა, თუმცა მისი მხარდამჭერების გარკვეული ნაწილის აზრით, ყოფილი პრეზიდენტი მოკლეს.

"რეზონანსი", N194, სამშაბათი, 20 ივლისი, 2004 წელი

გამსახურდიას მკვლელობის ძიება პარლამენტარებს არ აწყობთ: ექსპრეზიდენტის მკვლელობის შემსწავლელი კომისიის შექმნა იურიდიული თვალსაზრისით პრობლემას არ წარმოადგენს.

საქართველოს პარლამენტში ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია არ შეიქმნება.. როგორც ჩანს, შევარდნაძის შემდგომ მოსულ ახალ ხელისუფლებასაც არ შესწევს ჯიხაშკარში მომხდარი ბურუსით მოცული მოვლენების უტყუარად გამოძიების უნარი. ნინო ბურჯანაძემ დეპუტატების ზვიად ძიძიგურისა და კახა კუკავას ჭეშმარიტების დადგენის სურვილი არ დააკმაყოფილა და ასეთი გადაწყვეტილება შემდეგნაირად ახსნა - რეგლამენტი ამგვარი კომისიის შექმნას არ ითვალისწინებსო. ყველაფერი ეს კი იმ მოვლენების ფონზე მიმდინარეობს, რომ ექსპრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია თანამეცხედრის საქმეების ღირსეულ გამგრძელებლებად არ აღიქვამს რევოლუციით მოსულ მთავრობას და გროზნოში გადამალული პირველი პრეზიდენტის ნეშტის გადმოსვენებას არ აპირებს...

საქართველოს გენერალური პროკურატურის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ გენპროკურატურის კომისიამაც და საგამოძიებო ჯგუფმაც ფაქტობრივად შეაჩერა ფუნქციონირება.

ორმხრივი კომისიის წევრებმა დევნილი კანონიერი ხელისუფლების მხრიდან და საპატრიარქოს წარმომადგენელმა მოვითხოვეთ შეხვედრა ახალდანიშნულ გენერალურ პროკურორთან ბ-ნ ზ.ადეიშვილთან; ეს შეხვედრა შედგა 2004 წლის 3 ივლისს. გთავაზობთ შეხვედრის სხდომის ოქმს:

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით შექმნილი "1991-1993 წლებში საქართველოში კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის გარემოებათა შემსწავლელი ორმხრივი კომისიის" წევრთა

შეხვედრა საქართველოს გენერალურ პროკურორთან სხდომის ოქმი, 3 ივლისი, 2004 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, პროკურატურის თანამშრომელი გიორგი ლაცაბიძე, კომისიის წევრები: მანანა ტაბიძე, ტარიელ ფუტკარაძე, მერაბ რაფავა, გიორგი ანდრიაძე.

სხდომაზე განიხილეს კომისიის მუშაობის მეორე ეტაპის _ 1991-1993 წლებში ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების მიღების საკითხი, აგრეთვე, გამოძიების დაწყების მოსამზადებელი სამუშაოები.

გადაწყდა:

1. გენერალურმა პროკურორმა ამ საძიებო ეტაპისათვის საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელად დანიშნოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე გიორგი ჯანაშია, საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელად დარჩეს რევაზ ზარანდია და უცვლელი დარჩეს საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობაც.

2. სამეთვალყურეო ორმხრივი კომისიის წევრები შეიკრიბონ ყოველ ოთხშაბათს და მოისმინონ საქმის ძიების მიმდინარეობის ანგარიში.

3. პროკურატურის ბიუჯეტის შესაძლებლობათა მიხედვით უზრუნველყოფილ იქნას საგამოძიებო საქმიანობა და საგამოძიებო ჯგუფის წევრების სამივლინებო და სახელფასო ანაზღაურება.

4. ეთხოვოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, შეცვალოს მის მიერ შექმნილი კომისიის ხელმძღვანელი ივანე მერაბიშვილი და დაიწყოს პრეზიდენტის კომისიამ მუშაობა.

კომისიის წევრები: გიორგი ანდრიაძე
მერაბ რაფავა
მანანა ტაბიძე

ტარიელ ფუტკარაძე

3.VII.2004

P.შ. პროკურატორის მხრიდან შეთანხმების შედეგები ჩაიწერა ბ-ნმა გ.ლაცაბიძემ

შეხვედრის შემდეგ მალევე გამოიცა ბ-ნი ზურაბ ადეიშვილის ბრძანება, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

საქართველოს გენერალური პროკურორის
2004 წლის "--08--" ივლისის N--17-მ--

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 21 თებერვლის N 174 ბრძანებულებით შეიქმნა 1991-1993 წლების მოვლენების შემსწავლელი კომისია.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრულ და 2004 წლის 15 ივნისს წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მასალებით, 1991-1993 წლებში საქართველოში განვითარებული, ასევე 2003 წლის ჩათვლით თანამდევი ცნობილი მოვლენების შესწავლისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესრულებისათვის უნდა შეიქმნას საქართველოს გენერალური პროკურატურის, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრული და წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, 1991-1993 წლებში განვითარებული, ასევე 2003 წლის ჩათვლით თანამდევი ცნობილი მოვლენების შესწავლისათვის შეიქმნას საქართველოს გენერალური პროკურატურის, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი ჯანაშია _ საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე;
გელა ბადრიაშვილი _ ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი;
ტარიელ ფუტკარაძე _ 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი; ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
მანანა ტაბიძე _ ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
მერაბ რაფავა _ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
გიორგი ანდრიაძე _ საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი.

2. ერთობლივი კომისიის ხელმძღვანელობა დაევალოს საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, გიორგი ჯანაშიას.

3. ერთობლივი კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მომხსენდეს პერიოდულად, ხოლო საბოლოო შედეგებზე ეცნობოს საქართველოს პრეზიდენტს. **ზ. ადეიშვილი**

პარალელურად ვცდილობდით აგვემოქმედებინა ბ-ნი მ.სააკაშვილის მიერ შექმნილი ორმხრივი კომისიაც, მაგრამ უშედეგოდ დამთავრდა ჩვენი ყველა მცდელობა... ვერანაირად ვერ შევძელით ბ-ნ მ.სააკაშვილთან დაკავშირება, ამიტომ, კომისიის წევრები იძულებულნი გავხდით საჯაროდ მიგვემართა მისთვის; გთავაზობთ ამ ტექსტსაც, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ რეზონანსში:

ღია წერილი მიხეილ სააკაშვილს

ასლი: 1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ივანე მერაბიშვილს,

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს ბ-ნ გელა ბეჟუაშვილს,

საქართველოს გენერალურ პროკურორს ბ-ნ ზურაბ ადეიშვილს

ბატონო მიხეილ,

თქვენი განკარგულების (საქართველოს პრეზიდენტის 3174 განკარგულება, 2004 წლის 21 თებერვალი, ქ.თბილისი) თანახმად შექმნილია კომისია, რომელსაც ევალება 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებესთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შესწავლა. სახელმწიფო კომისიის წევრები არიან: ი. მერაბიშვილი, ზ.ადეიშვილი, ი.ოქრუაშვილი, გ.ანდრიაძე, მ.რაფავა, მ.ტაბიძე, ტ.ფუტკარაძე.

კომისიის შექმნის დღიდან გავიდა რვა თვე, მაგრამ ჯერ ერთხელაც კი არ შეკრებილან კომისიის წევრები და არ უმსჯელიათ იმ საკითხებზე, რომელსაც პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულება ითვალისწინებს. საქართველოს გენერალური პროკურორის ი.ოქრუაშვილის 2004 წლის 18 თებერვლის 17-მ ბრძანებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ და მის გარდაცვალების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შემსწავლელი ერთობლივი კომისია, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარმომადგენლების შემადგენლობით. გენერალური პროკურატურის საგამომძიებო ჯგუფმა ორი თვის წინ დაასრულა სამუშაოების პირველი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავდა 1991 წლის პუტჩის დროს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ შეთხზული

ბრალეულობის საქმის გადასინჯვას. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრალეულობის საქმის გამოძიება არ წარმოადგენდა ჩვენი უმთავრესი ყურადღების საგანს (ჩვენთვის არსებითია 1991-93 წლების პუტჩისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიება).

თუმცა, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ბრალეულობის საქმე მიგვაჩნია დასრულებულად; კერძოდ: გამოძიებამ დაადგინა, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას არანაირი დანაშაული არ მიუძღვის თავისი სამშობლოსა და ამომრჩევლის წინაშე, შესაბამისად, ყველა დანაშაული და ცილისმწამებლური ცოდვა მის მიმართაა ჩადენილი, მაგრამ დღემდე არავისთვის დაუკისრებიათ პასუხისმგებლობა ამის თაობაზე.

სამწუხაროდ, არც ამჟამად მიმდინარეობს თქვენი 3 174-ე განკარგულებით გათვალისწინებული საქმეების (1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შესწავლა.

ჩვენ მრავალგზის შევეცადეთ ხელისუფლების ყურადღების მიპყრობა თქვენს მიერ შექმნილი კომისიის უმოქმედობასა და საგამოძიებო პროცესის ფაქტობრივ შეჩერებაზე, ვგზავნიდით მიმართვებს (იხ., 22.IV.2004-ის, 10.VI.2004 _ მიმართვები პრეზიდენტს, მიმართვა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს: 3354 (11.VI.2004), მიმართვა 3 669X18 უშიშროების საბჭოს, მიმართვები საქართველოს პროკურორის სახელზე და სხვ.). სამწუხაროდ, სიტყვიერი დაპირებების გარდა არაფერი მიგვიღია.

ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო კომისიის მუშაობას შეგნებულად აფერხებენ პირები, რომელთაც აქტიური

მონაწილეობა აქვთ მიღებული 1991-93 წლების მოვლენებში და დღესაც ინარჩუნებენ მაღალ სახელისუფლებო ბერკეტებს. ვსარგებლობთ რა იმ უფლებით, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილი სახელმწიფო კომისიის წევრობა და საქართველოს მოქალაქის სტატუსი გვანიჭებს, შეგახსენებთ, რომ 1991-1993 წლებში განვითარებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების გამოძიება საქართველოსთვის უდიდესი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტია, ხოლო ამ მოვლენისადმი დამოკიდებულება ამჟამინდელი ხელისუფლების კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის ერთ-ერთი საზომიც გახლავთ.

შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია 2004 წლის 21 თებერვალს შექმნილი სახელმწიფო კომისია შეუდგეს მუშაობას და დაუყონებლივ იქნას მოწვეული კომისიის სხდომა. ამით გაქარწყლდება საზოგადოებრიობის ეჭვი, რომ პრეზიდენტის განკარგულების იგნორირებით გამოძიება ხელოვნურად და მიზანმიმართულად ბრკოლდება.

1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის წევრები:

გიორგი ანდრიაძე, საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი,
მერაბ რაფავა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
მანანა ტაბიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ტარიელ ფუტკარაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პროფესორი

"რეზონანსი" 24.IX.2004 წ.

ამასობაში საბოლოოდ შეჩერდა გენერალური პროკურატურის ორმხრივი კომისიის მუშაობაც: ბ-ნი ადეიშვილის მიერ შექმნილი კომისია შეკრებას გეგმავდა შექმნის დღიდან ყოველ მომდევნო კვირას და საბოლოო ჯამში დღემდე არ შეკრებილა.

დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მას მივმართეთ ბოლო ოფიციალური წერილით, რომელსაც აქვე წარმოვადგენთ:

საქართველოს გენერალურ პროკურორს,
ბატონ **ზურაბ ადეიშვილს**

ბატონო ზურაბ,

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის 2004 წლის 21 თებერვლის N 174 განკარგულება და თქვენი 2004 წლის 8 ივლისის N 17-მ ბრძანება (ორმხრივი კომისიის შექმნის შესახებ) ითვალისწინებს 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და 2003 წლამდე მოვლენების გამოძიებას.

სამწუხაროდ, დღემდე არ არის ამოქმედებული წარმოდგენილი დოკუმენტები, რისი დასტურია ის, რომ ჯერ კიდევ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე 1991-93 წლებში პუტჩის ფაქტზე.

გ თ ხ ო ვ თ:

1. აღძრათ სისხლის სამართლის საქმე 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების ფაქტზე და სასწრაფოდ დაკითხულ იქნენ პუტჩის ორგანიზატორები: ე. შევარდნაძე, თ. კიტოვანი, თ. სიგუა და სხვები;
2. განსაზღვროთ თქვენს მიერ შექმნილი ორმხრივი კომისიის მუშაობის რეგლამენტი

საქართველოს გენერალური პროკურორის
2004 წლის 8 ივლისის N 17-მ ბრძანებით

შექმნილი კომისიის წევრები:

პროფესორი **მანანა ტაბიძე**
პროფესორი **ტარიელ ფუტკარაძე**
პროფესორი **მერაბ რაფავა**
05.XI.2004 წ.

ჩვენი თხოვნა არავინ შეისმინა. მეტიც, ამის შემდეგ პროკურატურის კარებიც ჩვენთვის საგანგებოდ ჩაიკეტა: გაუქმდა ჩვენზე გამოწერილი მრავალჯერადი საშვები და გასხვისდა საგამოძიებო ჯგუფისთვის გამოყოფილი ოთახები.

რატომ შეწყდა
სახელმწიფო კომისიის მუშაობა?

ორმხრივი სახელმწიფო კომისიის მუშაობის შეჩერებას რამდენიმე არსებითი მიზეზი ჰქონდა:

1. 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის სისხლიანი რუსულ-ქართული კონფლიქტების არსის, ზვიად გამსახურდიას დევნისა და მკვლელობის გამოძიება ხელს არ აძლევს 1991-93 წლებში - რუსეთ-საქართველოს ომის აქტიურ ფაზაში - რუსეთის იმპერიის მხარეს მებრძოლ და ამჟამადაც დე ფაქტო ხელისუფლებაში მყოფ პირთა დიდ ნაწილს (პარლამენტის თავმჯდომარეს ქ-ნ ბურჯანაძეს, პარლამენტარ ბერძენიშვილებს, ბოკერია-რურუას ჯგუფს, ხაინდრავებს...). ძიებით მოძიებულ იქნა აშკარა ფაქტები, რომლებიც ღაღადებდნენ, რომ პუტჩი და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა დაიგეგმა კრემლში და განხორციელდა შევარდნაძის ავაზაკი თანამეინახეების მიერ (ი.ბათიაშვილის, ი.გიორგაძის, ა.იოსელიანისა და სხვათა საჯარო თვითაღიარებები ზღვაში წვეთია იმ სამხილებთან შედარებით, რაც პროკურატურაში დევს); მათი ნაწილი სააკაშვილის გარემოცვის აქტიურ წევრებად ითვლებიან; პუტჩის გამოძიების გაგრძელებას მოჰყვებოდა დიდი სახელისუფლო სკანდალი... შესაბამისად, მ.სააკაშვილმა სამართლიანობის აღდგენას უკან დახევა ამჯობინა.

2. 1991-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პუტჩის ობიექტური გამოძიება ფარდას ახდის პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილის ბნელ წარსულს; ამიტომაც მათ ხელს აძლევს 1991-93 წლების იმპერიულ-კრიმინალური პუტჩი და ბალტინ-ბეპაევის ტანკებით რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა მონათლონ "სამოქალაქო ომად".

ამ და სხვა მიზეზთა გამო 2004 წლის 11 მარტის[2] დადგენილებით, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს უზენაესი საბჭო 1995 წლამდე ლეგიტიმურ ორგანოდ აღიარა, მაგრამ 1991-93 წლების მოვლენები სამოქალაქო ომად შეაფასა.

"რატომღაც", ამ უკანასკნელში არ გამოიკვეთა **რუსეთის როლი**, რომელიც კარგად იყო წარმოჩინებული იმავე პერიოდის საქართველოს **გენერალური პროკურატურის** დადგენილებაში.

შდრ.:

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 2004 წლის 21 თებერვლის № 174 განკარგულების[3] საფუძველზე **საქართველოს გენერალური პროკურორის** - ზურაბ ადეიშვილის - ბრძანებით შექმნილი "ერთობლივი კომისიის" საგამოძიებო ჯგუფის დადგენილებაში ვკითხულობთ:

"საქართვლოს დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებისა და ასევე ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის

---

[2] რატომღაც ამ უკანასკნელში არ გამოიკვეთა **რუსეთის როლი**, რომელიც კარგად იყო წარმოჩინებული იმავე პერიოდის საქართველოს **გენერალური პროკურატურის** დადგენილებაში.

[3] "1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ".

პირველი დღეებიდანვე ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ დაიგეგმა და მეთოდური იერიში განხორციელდა ოპოზიციურ ძალებს მიტმასნილი და მისი სახელით მოქმედი პირებისა და იმპერიული ძალების მიერ. სსრ კავშირის პრეზიდენტი მ.გორბაჩოვი და სხვა ოფიციალური პირები ღიად აფრთხილებდნენ ქართველ ხალხს და საქართველოს პრეზიდენტს, რომ მათ მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე გადადგმული ნაბიჯები სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა სამხრეთ ოსეთის ოლქთან და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ურთიერთობაში.

იმპერიული ძალების ქმედების გასანეიტრალებლად საჭირო იყო შესაბამისი პრაქტიკული ზომები ქართული სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნული მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის - რუსეთის იმპერიის - შეარაღებული ძალები გამოცხადდა **საოკუპაციო სამხედრო ძალად და დაისვა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან მისი გაყვანის საკითხი"**[4].

აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დასავლეთის წაყრუების ფონზე დაამხო რუსეთმა, იმიტომ, რომ პრეზიდენტი გამსახურდია რუსეთს კავკასიას აკარგვინებდა; დასავლეთის ზოგ მმართველს კი არ მოსწონდა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვასა და რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას.

---

[4] **"დადგენილება პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ"** (15 ივნისი, 2004 წ.), გვ. 46; დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის **უფროსი პროკურორი რევაზ ზარანდია**; 2004 წლის 18 ივნისს დადგენილება დაამტკიცა საქართველოს **გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა**.

შდრ.:

საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ 1991 წლის 15 სექტემბერს საბჭოთა იმპერიის ჯარს მიანიჭა **ოკუპანტის სტატუსი**[5], ხოლო იმავე წლის 21 დეკემბერს საბოლოოდ თქვა უარი რუსეთის ახალ იმპერიაში ნებაყოფილობით შესვლაზე (ე.წ. დსთ-ს წევრობაზე). რითაც, 1991 წელს რუსეთმა **იურიდიულად დაკარგა საქართველოს ტერიტორიის კონტროლის უფლება.** ეს ფაქტი აღიზიანებდა არა მხოლოდ რუსეთის ოფიციალურ ხელისუფლებას; მაგ., ცნობილი რუსი სამართალდამცავ ბ-ნი სახაროვის - მეუღლე ქ-ნი ბონერიც კი აღშფოთებული აცხადებდა: "გამსახურდიას სურს, რუსეთმა დაკარგოს კავკასია".[6]

საქართველოს კანონიერი ხელისუფლება ელოდა რა რუსეთის ახალ აგრესიას, დახმარებისათვის მიმართავდა

---

[5] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბერის დადგენილება (№ 657; 16.09.1991): "საქართველოს რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შესახებ", რომელშიც ნათქვამია: "1. **საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სსრკ-ს შეიარაღებული ძალები გამოცხადდეს საოკუპაციო სამხედრო ძალად;** 2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება სსრკ-ს შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე; 3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრკ-ს შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე სსრკ-ს წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის ასსრ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებიდან საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, რადგან მათი ყოფნა და მოქმედება ხელს უშლის მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ რეგიონში".

[6] თემის შესახებ ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, "რაცა ღმერთსა არა სწადდეს" ანუ მიმდინარე პროცესების შესახებ, გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 28 სექტემბერი, 1991; იხ. აგრეთვე: "აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ აწმყოს უდაბნოში", თბ., 1999 , გვ. 61-69.

ფართო საზოგადოებასა[7] და დასავლეთის სახელმწიფოების ხელისუფლებებს[8]. მრავალგზის მიმართვის მიუხედავად, ევროპის ისტორიის იმ ეტაპზე ცივილიზებული დასავლეთისთვის არსებითი იყო აღმოსავლეთ ევროპის

---

[7] მაგ., 1991 წლის 13 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედმა კომისიამ (ზაურ ქობალია, ამირან კალაძე, ავთანდილ იმნაძე, ავთანდილ რცხილაძე, ზურაბ კანდელაკი, ვახტანგ ჭითავა, ზურაბ სანიკიძე, ვახტანგ ცაგარეიშვილი, ალეკო მელაძე, ვალტერ შურღაია, ტარიელ ფუტკარაძე) მიმართა საქართველოს მოსახლეობას, სადაც ვკითხულობთ: **"1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა და 1991 წლის 26 მაისის პრეზიდენტის არჩევნებმა ნათლად წარმოაჩინა,** რომ საქართველოს მოსახლეობას სურს საკუთარი სახელმწიფოს აღდგენა. **იმპერიული ცენტრი**, ცდილობს რა შეინარჩუნოს თავისი ძალაუფლება **ოკუპირებულ ტერიტორიაზე**, ყოველ ღონეს ხმარობს საქართველოში ვითარების გასამწვავებლად, დესტაბილიზაციის პერიოდში ის მსოფლიოს დაარწმუნებს, თითქოს კავკასიაში ქაოსისა და დაპირისპირების აღკვეთა მხოლოდ მას შეუძლია..." სრულად იხ.: ტ. ფუტკარაძე, "აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ აწმყოს უდაბნოში",თბ., 1999 , გვ. 70-71. (კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიება).

[8] იხ., მაგ., 1991 წლის 10 დეკემბრის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის მიმართვის ერთი მონაკვეთი: "მიმდინარე წლის შემოდგომაზე **საქართველომ უარი თქვა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე** (იმპერიულ ცენტრთან რამენაირი კავშირის საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დადგეს, თუ გორბაჩოვისა და ელცინის ხელისუფლება ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და აღარ ჩაერევა საქართველოს საქმეებში)... **იმპერიულმა ცენტრმა** ვერ შეძლო, საქართველოს წინააღმდეგ აემხედრებინა არაქართული მოსახლეობა (როგორც ბატიისპირეთში), ვერ გაამარჯვებინა კომუნისტურ პარტიას (როგორც შუა აზიის რესპუბლიკებში), მაგრამ კარგად იყენებს არჩევნებში დამარცხებულ ძალაუფლებისმოყვარე ქართველთა პარტიულ ამბიციებს, განსაკუთრებით კი დამარცხებული და კანონგარეშე გამოცხადებული კომპარტიის ლიდერთა იმ ჯგუფს, მოსკოვიდან რომ განაგრძობს ბრძოლას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ... სრულად იხ.: **ტ. ფუტკარაძე,** "აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ აწმყოს უდაბნოში",თბ., 1999 , გვ. 77-79.

(ე.წ. "საბჭოთა რესპუბლიკების") გამოხსნა რუსული იმპერიული ველიდან...

ამიტომაც, დასავლეთის წაყრუების ფონზე, რევანშისტული განწყობის პოლიტიკური ძალებისა და ქართველი კრიმინალების გამოყენებით 1992-93 წლებში და შემდეგაც სასტიკად იდევნებოდნენ საქართველოს კანონიერი და დემოკრატიული ხელისუფლების (პრეზიდენტი, საკანონმდებლო ორგანო - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთავრობა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები) აქტიური წარმომადგენლები: საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ფიზიკური განადგურება, დევნა და შევიწროება მრავალი წლის მანძილზე გრძელდებოდა. პარალელურად, 1921 წლის მსგავსად, 1992 წელსაც რუსეთის იმპერიამ საქართველოში ძალაუფლება გადასცა ჯერ სამხედრო ხუნტას[9], შემდეგ კი ერთმმართველი გახდა რუსეთის მოქალაქე ე.შევარდნაძე, რომლის რეჟიმმა რუსეთი "მეგობარი ქვეყნის" სტატუსით აღჭურვა და საქართველო შეიყვანა ე.წ. დსთ-ში - რუსეთის ახლადაღორძინებად იმპერიაში[10]; საქართველოს

---

[9] რომელმაც **რუსეთის შეარაღებული ძალების დახმარებით** აიღო სახელისუფლებო შენობები და 1992 წლის 2 იანვარის უკანონო "სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით" უფლებამოსილება შეუჩერა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს (მსჯელობისა და დოკუმენტური მასალისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, "აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ აწმყოს უდაბნოში", გვ. 277-288 ("უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტის უფლება მხოლოდ და მხოლოდ უზენაეს საბჭოს აქვს") თბ., 1999.

[10] ვფიქრობ, 90-იან წლებში დასავლეთის პოლიტიკოსებმა გაუმართლებელად დათმეს საქართველო დასუსტებული რუსეთის წინაშე.

ტერიტორიაზე მყოფ **რუსეთის საოკუპაციო ჯარს** კი "სამშვიდობო მისია" დაეკისრა[11].

რუსეთის იმპერიის მხრიდან ეს იყო პოლიტიკური ცინიზმი და უზნეო ძალადობა:

სისხლიანი და საქართველოს მოსახლეობის გამანადგურებელი პუტჩით, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ბოლო სამყოფელის - სამეგრელოს - საგანგებო დასჯით, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში განხორციელებული ქართველთა გენოციდითა და საქართველოს მხარდამჭერ აფხაზთა, ოსთა გამოძევებით[12] რუსეთმა სრულად აღადგინა გეოპოლიტიკური კონტროლი ამიერკავკასიაზე[13].

---

[11] 1992 წლის 24 ივნისს შევარდნაძის საოკუპაციო ადმინისტრაციამ ხელი მოაწერა რუსეთის ხელისუფლებასთან და რუსულ ჯარს მისცა "სამშვიდობო ჯარის' სტატუსი. 1993 წლის 18 სექტემბრის მიმართვაში ("ჩემი სამშობლოს ყველა მეგობარს"), ე. შევარდნაძე გულუბრყვილოს ნიღბით წერს: "**უკვე მერამდენედ, ვენდეთ რა რუსეთის სამშვიდობო მისიას, მის, როგორც გარანტისა და შუამავლის როლს, დავდეთ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება და პასუხად კვლავ ღალატი მივიღეთ...**" ("საქართველოს რესპუბლიკა", 1993, 21 სექტემბერი; ვ.ყოლბაია, რ.გელანტია, დ.ლაცუზბაია, თ.ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, თბ., 1999, გვ. 158 .

[12] **საქართველოს გენერალური პროკურორის** - ზურაბ ადეიშვილის - ბრძანებით შექმნილი "ერთობლივი კომისიის"[12] საგამოძიებო ჯგუფის დადგენილებაში (გვ. 87) ვკითხულობთ: **"რუსეთის შუამავლობით** ქართული მხარის მიერ აფხაზ სეპარატისტებთან დადებულ ყველა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის, მძიმე ტექნიკისა და არტილერიის სოხუმიდან გაყვანის შესახებ და სხვ., **დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია განიხილავდა როგორც კაპიტულანტურს, რასაც მისი შეფასებით, მოჰყვებოდა მთელი აფხაზეთის ჩაბარება, ქართველი მოსახლეობის გენოციდი და დეპორტაცია".**

[13] მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე: **ტ. ფუტკარაძე,** "აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ აწმყოს უდაბნოში", თბ., 1999, გვ. 61-69. 259-268.

შდრ.: რუსეთის მიზანი იმთავითვე ნათლად იყო გააზრებული **საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მიერ**; იხ., მაგ., საქართველოს უზენაესი საბჭოს მიმართვა გაეროს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა გაეროს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს 1921 წლის საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად შიდა ქართლის მთიან ნაწილში შექმნილ რთულ ვითარებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ამ ძირძველ მიწა-წყალზე მიმდინარე პროცესები ინსპირირებულია სსრ კავშირის ტერიტორიაზე ახალი ზესახელმწიფოს გაჩენის მოსურნე ძალების მიერ და წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას საქართველოს რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. ამდენად, ე.წ. ოსურ-ქართულ კონფლიქტს აქვს პოლიტიკური საფუძველი. იგივეს ადასტურებს სსრკ, რსფსრ და საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომისიის მიერ 1991 წლის 31 მაისს ხელმოწერილი ოქმი.

უკანასკნელ ხანებში ექსტრემისტული ძალების მოქმედების შედეგად მდგომარეობა ამ რეგიონში განსაკუთრებით დაიძაბა. დღეს უკვე სრულიად ცხადია იმპერიის მიზანი _ მიაღწიოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ფაქტობრივად რუსეთისათვის გადაცემას, რაც ეწინააღმდეგება საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო ნორმებს.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო ყოველთვის ისწრაფოდა და ამჟამადაც ისწრაფის შექმნილი ვითარების მშვიდობიანი, პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრისაკენ ყველასთან ერთად, ვინც კეთილი ნებისა და სამართლებრივი რეალობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ამ რეგიონში ძალადობის შეწყვეტას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ თხოვნით შექმნილი ვითარების შესასწავლად მოავლინოთ თქვენი წარმომადგენლები.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი

((საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, # 12, 1991, გვ. 38-39)[14].

საგანგებოდ აღვნიშნავ:

საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 11 მარტის დადგენილებით, დაგმობილია "ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობაც კი", მაგრამ 1991-93 წლების პუტჩის ფაქტზე **სისხლის სამართლის საქმე** არ აღძრულა; მეტიც, ფაქტობრივად ამ დადგენილების გავლენით ფუქციონირება შეწყვიტა **პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის** 2004 წლის 21 თებერვლის № 174 განკარგულებით[15] შექმნილმა კომისიამ[16].

...დღემდე სამართლებრივად არ შეფასებულა პუტჩი და 1992 წელს არსებული ე.წ. 'სამხედრო საბჭოს", "სახელმწიფო საბჭოს" და 1992 წლის ნოემბერში შეკოწიწებული "იმედის პარლამენტის" დანაშაულებრივი საქმიანობა, ობიექტურად არ გამოძიებულა ზვიად გამსახურდიას მკვლელობა (აგეკვატურად მხოლოდ გირგვლიანის მკვლელები უნდა დაისაჯონ?)...

მე, როგორც 1990 წელს კანონიერად არჩეული **დეპუტატი, სხვა კოლეგებთან ერთად მივიჩნევ, რომ** სანამ სასამართლოს მიერ არ შეფასდება 1991-1993 პუტჩი და

---

[14] http://www.rrc.ge/law/mimkrt_1991_03_12_Q.htm?lawid=1759&lng_3=ge

[15] "1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ".

[16] კომისიის საბოლოო შემადგენლობა: **ივანე მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი ანდრიაძე, ტარიელ ფუტკარაძე, მანანა ტაბიძე, მერაბ რაფავა.**

ადეკვატური სახელი არ დაერქმევა ამ პერიოდში რუსეთის აგრესიას, მანამდე შეუძლებელი იქნება საქართველოს კრიზისიდან გამოსვლის სტაბილური გზების მოძებნა[17].

დასკვნის ნაცვლად:

როგორ უნდა გამოვიდეთ არსებული კრიზისიდან?

თანამედროვე მსოფლიოში საქართველოსთვის საუკეთესო იქნება ისეთი პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, რომელიც ერთდროულად იქნება აღიარებული ამერიკის, რუსეთის, ჩინეთის, ევროკავშირის, თურქეთის... მიერ; კერძოდ, გაეროს ფორმატით მოხდება შეთანხმება საქართველოს (თუ ამიერკავკასიის) გეოპოლიტიკურად ნეირტალურ სივრცედ გამოცხადების შესახებ... ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია, ამიტომაც, 2008 წლის 5 იანვარის **რეფერენდუმით** საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა "ნატოში" შესვლას.

---

[17] ამ პრინციპული მოსაზრებიდან გამომდინარე, მე, როგორც 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, რომელიც უკანონო გზით განდევნეს ხელისუფლებიდან, დღემდე არ ვიღებ ე.წ. **სადეპუტატო პენსიას;** ამ პროტესტს გავაგრძელებ მანამ, სანამ სამართლებრივად არ შეფასდება 1992-93 წლებში **რუსეთის მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის ფაქტი.**

აქვე ვიტყვი, რომ 2008 წლის აგვისტოს **რუსული აგრესიით** საქართველომ დიდი დანაკარგების ფონზე ორი დადებითი შედეგიც მიიღო: **რუსეთის ჯარს აღუდგა ოკუპანტის სტატუსი[18] და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგება დაიწყეს ევროკავშირის მონიტორებმა.**

---

[18] იხ.: **"საქართველოს პარლამენტის დადგენილება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ":** საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საბჭოთა იმპერიის სამართალმემკვიდრემ – **რუსეთის ფედერაციამ** განაგრძო შეიარაღებული კონფლიქტების ინსპირირება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე. რუსეთის ხელისუფლება პერმანენტულად აიარაღებდა სეპარატისტებს, უწევდა მათ სამხედრო, ფინანსურ, პოლიტიკურ მხარდაჭერას და ქვეყანა ჩაითრია შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელიც ფორმალურად საქართველოსა და სეპარატისტებს შორის მიმდინარეობდა, მაგრამ რეალურად ეს იყო რუსეთისა და საქართველოს სამხედრო დაპირისპირება... XX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთმა რეგულარული ჯარისა და დაქირავებული პირების მეშვეობით განახორციელა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რაც დადასტურებულია ეუთოს ბუდაპეშტის 1994 წლის 5-6 დეკემბრის, ლისაბონის 1996 წლის 2-3 დეკემბრისა და სტამბულის 1999 წლის 18-19 ნოემბრის სამიტების დასკვნითი აქტებით და გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2008 წლის 15 მაისს მიღებული N62/249 რეზოლუციით. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, რუსეთის ფედერაცია პერიოდულად აწყობდა სისხლიან პროვოკაციებს და ამწვავებდა კონფლიქტებს საკუთარი სურვილის შესაბამისად. ე. წ. სამშვიდობო ძალები, რომლებიც ამ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციამ განათავსა, რეალურად იყო საოკუპაციო ჯარი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა არა კონფლიქტების მოგვარება, არამედ სუვერენული სახელმწიფოს – საქართველოს განუყოფელი ტერიტორიების მითვისება...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს: 1. რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, ეგრეთ წოდებული სამშვიდობო ძალები, გამოცხადდეს საოკუპაციო საჯარისო შენაერთებად. 2. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური

დღეს, **საქართველოს გარშემო დაპირისპირება** იმდენად მძაფრია, რომ საქართველო (კავკასია) პლანეტის ფეთქებადსაშიშ რეგიონს წარმოადგენს. ბუნდოვანი ჩრილოკავკასიური იმპულსებისის გარდა, კავკასიაში რამდენიმე გამოკვეთილი ინტერესია წარმოდგენილი:

რუსეთის იმპერია ძალმომრეობით ცდილობს, სრული კონტროლი აღადგინოს საქართველოს იმ მონაკვეთზეც, რომელიც სომხეთში დისლოცირებული შენაერთებისგან აშორებს. **შდრ., ამავე მონაკვეთზე გადის ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი.**

თურქეთიც და ირანიც ესწრაფვიან, გარკვეული გავლენა მაინც აღიდგინონ კავკასიაზე. ეს ისტორიული მეზობლები საქართველოს კონკრეტული დახმარების ხელსაც უწვდიან.

ევრაზიის დერეფნის მიმართ გამოკვეთილი სტრატეგიული მიზნები აქვს ევროამერიკულ ალიანსს, რომელსაც ამავე დროს სურს, რეალურად დაეხმაროს საქართველოს...

ამ ფონზე 1991 წლის საზღვრების გათვალისწინებითა და მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანამშრომლობით **საქართველოს სურს შეინარჩუნოს თავისი საარსებო სივრცე;** დღეს **რეალური საფრთხე** ემუქრება როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ასევე, ქართველი და აფხაზი ხალხის იდენტობას[19].

რესპუბლიკა გამოცხადდეს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად...
თბილისი, 2008 წლის 28 აგვისტო. http://www.rrc.ge/law/dadg_2008_28_08_Q.htm?lawid=1670&lng_3=ge.

[19] აფხაზური ენისა და კულტურის გაქრობის რეალური საფრთხის შესახებ იხ., "ახალი თაობა", 18 მარტი, 2009 წ. გვ. 8, სადაც გამოქვეყნებულია აფხაზეთის

არსებულ რეალობაში კავკასია ჯერჯერობით მსოფლიოს ყველაზე ფეთქებადსაშიში რეგიონია.

კავკასიის კრიზისიდან გამოსავლის გზის ძიებისას, ამ ეტაპზე აუცილებელ პირველ ნაბიჯებად მიგვაჩნია:

1. საერთაშორისო მონიტორინგის პირობებში, უახლოეს პერიოდში, **სასამართლოს წესით ობიექტურად შეფასდეს** 1991-93 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობის ფაქტი. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ კავკასიის ცენტრალური სახელმწიფოს - საქართველოს - ხელისუფლებაში კიდევ არ მოხვდნენ პირები, რომლებიც, ბოლო წლებში არაერთხელ იქცნენ **რუსეთის იმპერიის ან სხვა გარეშე ძალების ნების აღმსრულებლებად;** აუცილებელია ისიც, რომ ამ სამართლებრივი დასკვნის საფუძვლით ცივილიზებულმა მსოფლიომ ობიექტურად შეაფასოს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში **კავკასიაში განხორციელებული რუსული აგრესია**.

2. მომავალი საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნოს მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირის, გაეროს, ეუთოს), 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, არასაპარლამენტო ოპოზიციის და ამჟამინდელი პარლამენტის

უზენაესი საბჭოს წევრის, **ადა მარშანიას** (ეთნიკური აფხაზის) არგუმენტირებული მსჯელობა.

წარმომადგენლების[20] მიერ შეფასდება **1992-2009 წლებში საქართველოს ხელისუფლების ძალადობით შეცვლისა და შეცვლის მცდელობების გარემოებები,** ჩამოყალიბდება ლეგიტიმური, დემოკრატიული არჩევნების პრინციპები და **შეიქმნება პირობები საყოველთაო, თავისუფალი** არჩევნების ჩასატარებლად. **პარალელურად, ამ სუბიექტთა ერთობლივი კომისიის მიერ** მკაცრად უნდა განისაზღვროს ხელისუფლების სხვადასხვა შტოების უფლებამოსილება. მხოლოდ ლეგიტიმური და დემოკრატიული არჩევნებით მოსული ხელისუფლების პირობებში შეეძლება საქართველოს მოსახლეობას თავისი ნების თავისუფლად რეალიზება.

p.s. 1992 წლიდან დღემდე მე და ჩემი კოლეგები ვითხოვთ 1992-93 წლების პუტჩის სამართლებრივ შეფასებას. ამ მოთხოვნის გამო არალეგიტიმურ ხელისუფლებაში მყოფი ზოგი პოლიტიკოსი (მაგ., გიორგი თარგამაძე) ხატოვნად გვსაყვედურობდა:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...“

მე მათ დღესაც ვეუბნები:

სანამ კანონიერი ხელისუფლების არალეგიტიმურად (ძალადობით) დამხობის ფაქტი ობიექტურად და

---

[20] 1990 წელს არჩეული **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს** ლეგიტიმურობა “არჩევის ვადით“ აღიარა 2004 წლის საქართველოს პარლამენტმაც; შესაბამისად, კომისიაში შეყვანილ არ უნდა იქნენ ის პირები, ვინც იყვნენ უკანონო ორგანოებში: "სამხედრო საბჭოში", ე.წ. სახელმწიფო საბჭოსა და 1992 წლის ნოემბერში შეკოწიწებულ "პარლამენტში".

სამართლებრივად არ შეფასდება, ჩვენი სახელმწიფო ვერ განვითარდება, მეტიც, უკუსვლა გაგრძელდება.

ბურჯანაძის პარლამენტის მსგავსად, ამ მოწვევის (2009 წელს არსებული) პარლამენტარები მაინც ნუ მიჩქმალავთ სინამდვილეს: 1992-93 წლებში, **ცივილიზებული დასავლეთის "წაყრუების"** შემდეგ, საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაამხო რუსეთის იმპერიამ ქართველი კრიმინალებისა და რევანშისტი პოლიტიკოსების დახმარებით; ამ მოვლენამ მრავალი წლით დააგვიანა საქართველოს სახელმწიფოს აღორძინება. სანამ საბედისწეროდ გვიანი არ არის, ახლა მაინც დავარქვათ 1992-93 წლების მოვლენას - საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობას - თავისი სახელი და ვთქვათ, რომ ეს პუტჩი დაიგეგმა კრემლში და განხორციელდა კრემლის ხელითვე (დასავლეთის წაყრუების ფონზე!).

იმხანად ამერიკა და ევროპა აღმოსავლეთ ევროპის (ბალტიის ქვეყნების, პოლონეთის, აღმოსავლეთ გერმანიის, ჩეხეთის, ყოფილი იუგოსლავიის...) "შემომტკიცებით" იყო დაკავებული და ჩვენთვის არ ეცალა. დღეს სხვა გეოპოლიტიკური სიტუაციაა (+ნაბუკო, ალტერნატიული სხვა მაგისტრალები...):

საქართველოს სახელმწიფოს გადარჩენისა და აღორძინების შანსი რეალურია.